ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №4. აპრილი. 2013.

„ვალდებული ვარ, ყველას მოთხოვნა გავითვალისწინო“

ინტერვიუ აჭარის პირველ პირთან

არჩილ ხაბაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია. იგი დღეს აჭარის მთავრობის თავმჯდომარე გახლავთ. რეგიონის პირველი პირი გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ რიგ პრობლემებთან თუ მოვლენებთან დაკავშირებით თავის მოსაზრებებს უმხელს:

— 2013 წლისთვის რა სიახლეების წინაშე დგას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა?

— პირველ რიგში ვიტყვი, რომ 2013 წელი გარდამავალი იქნება. მხედველობაში მაქვს ის, რომ პროექტების რაღაც ნაწილი იგივე დარჩება, თუმცა ნაწილსაც შევცვლით და სხვა მიმართულებით წავიყვანთ. ძირითადად, მაინც მინდა, რომ ეკონომიკაში შემავალი სფეროები განვავითაროთ. ის, რაც ჩვენი რეგიონისთვის დამახასიათებელია, მინდა გამოკვეთილი იყოს. ტურიზმი ისევ მთავარ მიმართულებად დარჩება. აქვე აღვნიშნავ, რომ რაც ამ სფეროში დღემდე გაკეთდა, კარგია, მაგრამ მინდა ბევრი რამ დავამატოთ. პარალელურად უნდა მივხედოთ სოფლის მეურნეობასაც, ერთი წინა და მეორე უკანა პლანზე იყოს, საქმეს ასე არ გამოადგება. სოფლის მეურნეობა ტურიზმს ფეხს უნდა უბამდეს. ის მდგომარეობა, რომელიც დღეს ამ სფეროშია, გეტყვით, რომ საბაზისოა და მასთან ერთად აუცილებელია კონკრეტული მიმართულებების განვითარებაც - ეს იქნება ეკოტურიზმი, სამთო ტურიზმი, საოჯახო ტურიზმი თუ სხვა. ბევრი რამ ბოლომდეა მისაყვანი და მივიყვანთ კიდეც. მხედველობაში მაქვს გოდერძის უღელტეხილიც. ასევე ახალი მიმართულებაა ჩიტებზე დაკვირვების ტურიზმი, სამკურნალო და ბალნეოლოგიური ტურიზმი. რიგ საკითხებს დღის წესრიგში ბატონი რამაზ სურმანიძე სვამდა. ისპაანის ჭაობითაც უნდა მოვიზიდოთ ბევრი სტუმარი. მზე, ზღვა და თოვლი ხომ ჩვენია. აქვე დავსძენდი, რომ გასართობი ტურიზმის გააქტიურებაც საინტერესოა, კაზინოები მაქვს მხედველობაში. ბევრი რამის გაფართოებაა შესაძლებელი.

— ფინანსები და ეკონომიკა, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა, სოფლის მეურნეობა, განათლება, კულტურა და სპორტი — ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია. თქვენ, როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარე, როგორ შეაფასებთ ამ მიმართულებით სამინისტროების საქმიანობას?

— რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ მიწები არ გავყიდოთ. ის მანკიერი მიდგომა რომელიც ამ საკითხისადმი აქამდე იყო, უნდა შეიცვალოს. მესმის, რომ ტერიტორიების ერთ ლარად გასხვისება გარკვეული პირობით ხდებოდა, მაგრამ ჩვენთვის ესეც მიუღებელია და ასე არ გავაკეთებთ.

მინდა აღვნიშნო, რომ სოფლის მეურნეობასა და სოციალურ მხარეს ჩვენს ბიუჯეტში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მრავლისმომცველი საყოველთაო სადაზღვევო პაკეტი გვაქვს. სოციალურად დაუცველებისთვის და ძალიან გაჭირვებულთათვის იგი მაქსიმალურად ხელმისაწვდომია. ბევრ ისეთ დაავადებას მკურნალობენ ან ოპერაციას აფინანსებენ, რაც სახელმწიფო პროგრამით არ იყო გათვალისწინებული. ვფიქრობ, ამ მიმართულებით წელს კარგი შედეგი გვაქვს. ბევრი საინტერესო პროექტია გათვალისწინებული 2013 წლის ბიუჯეტში. ჯერ ამ კუთხით კონკრეტული შენიშვნა ან პრეტენზია არ მიგვიღია. მართალია, ზოგადად სისტემაში ბევრი ხარვეზია, მაგრამ ჯანდაცვას ეს ნაკლებად ეხება.

ფინანსებისა და ეკონომიკის მიმართულებით ვიტყვი, რომ აქაც ყველაფერი ნორმალურადაა. თითქმის ყველა სამინისტროში დავინახეთ საკადრო ცვლილებების აუცილებლობა, მაგრამ აღვნიშნავ, რომ ბირთვი შეკრულია, მოხერხდა ძველისა და ახლის შერწყმა. კადრების სამოცდაათი პროცენტი არ შეცვლილა. გვინდა ნელ-ნელა ყველაფერი დავალაგოთ. უკვე 5 თვეა, რაც ჩვენ ხელისუფლებაში ვართ და ვფიქრობ, დასრულდა გათვითცნობიერების პროცესი. ახლა იმაზე ვმუშაობთ, რომ ეფექტური სამუშაო რეჟიმი გვქონდეს. ამ მიმართ სამინისტროები მეტ-ნაკლებად ერთ დონეზეა. ვისაც ბევრი საქმე აქვს, ბევრ შეცდომას უშვებს და ვისაც ნაკლები — ნაკლებს. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა.

— რას იტყვით აჭარის სოფლების შესახებ. რიგი ტრადიციული კულტურების განვითარებისათვის ხელშეწყობას ხომ არ გეგმავთ?

— ვცდილობთ შევისწავლოთ ძველი, ტრადიციული დარგები და გლეხი სოფლიდან აღარ წამოვიდეს. მაგალითად, ეს იქნება მეთამბაქოება, კენკროვანი კულტურა, კონკრეტული საწარმოების განვითარება, მაღალმთიან რაიონებში კარტოფილის, ვაშლის, მსხლისა თუ სხვათა რეალიზაცია. გადამამუშავებელი საწარმოების ფუნქციონირება აუცილებელ პირობად მიგვაჩნია. მართალია ეს შრომატევადი, მაგრამ შემოსავლიანი საქმეა, გლეხში ინტერესი უნდა გაჩნდეს. ვნახოთ, ინტერესი არის, ინვესტორებიც ჩანან. ვფიქრობ, ამ მიმართულებით სერიოზული ძვრები იქნება.

კონკრეტული ხელშეწყობის პროგრამა მეფუტკრეობის დარგის მიმართულებით გვაქვს. თუ არ ვცდები, 960-მდე სკის შესყიდვას აპირებენ. გლეხი 30%-ს იხდის, ხოლო 70%-ს სახელმწიფო აფინანსებს. სხვათაშორის, ვაწარმოებთ მოლაპარაკებას თაფლის ექსპორტზეც. იგი პატარა, სპეციალურ საფირმო ქილებში უნდა შეიფუთოს. დამაფიქრებელი მხოლოდ ის არის, რომ ეს სეზონურია. აქვე დავსძენ იმასაც, რომ ჩვენთან, სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით, ბევრი რამ არის სეზონური, ამ ყველაფერს კარგი გათვლა სჭირდება.

- მიმდინარე წლის 14 თებერვალს საქართველოს პრემიერ–მინისტრი თურქეთის პრემიერ–მინისტრს შეხვდა. ამ შეხვედრაზე გადაწყდა ბათუმში მეჩეთის მშენებლობის საკითხი. ცნობილია, რომ მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად, იქ თქვენც ბრძანდებოდით. თქვენი კომენტარი...

— ამ ბოლოს, მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით განცხადებების გაკეთება ხშირად მომიწია. გავიმეორებ, რომ ჩვენ წინაშე ორი ვარიანტია: ბათუმში მდებარე მეჩეთის გაფართოება და ახლის მშენებლობა. ჩვენ მუსლიმ მრევლს ბოლოს გაფართოების თემა შევთავაზეთ, თუმცა აზრთა სხვადასხვაობაა. ჩვენ არ გვინდა მოხდეს რაღაცის ინსცენირება, თუმცა მინდა გითხრათ, რომ ამას ბევრი ხელს უწყობს და პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებას ცდილობს. ჩვენ ამ ყველაფერს კარგად ვათვითცნობიერებთ. მაქსიმალურად უზრუნველვყოფთ, რომ თითოეული ჩვენი მოქალაქის ინტერესი დავიცვათ. მე პირადად, ვალდებული ვარ, ყველას მოთხოვნა გავითვალისწინო, ოღონდ ისე, რომ ერთის გათვალისწინებით მეორე არ შეილახოს. ბალანსი და კომპრომისი უნდა დავიცვათ. საზოგადოება იმ მიმართულებით

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

წელს მართლმადიდებლური სამყარო მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას 5 მაისს იზეიმებს. ამ დღისთვის მორწმუნეები განსაკუთრებით ემზადებიან, მას წინ 48-დღიანი მარხვა უძღვის, რომელიც სულიერად გვამზადებს ამ დიდი დღესასწაულის შესახვედრად. აღდგომა მოძრავი დღესასწაულია. იგი აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდგომი სავსე მთვარის პირველ კვირას.

ჯვარცმიდან მესამე დღეს იესო ქრისტე მკვდრეთით აღსდგა. კვირა დღეს, გამთენიისას, საფლავის დარაჯებმა მიწისძვრა იგრძნეს, შემდეგ კი ანგელოზი დაინახეს, რომელმაც საფლავის ლოდი გადააგორა. მათ მაცხოვრის აღდგომა იხილეს და შეშინებულები გაიქცნენ.

იესო ქრისტე 40 დღის განმავლობაში არაერთხელ გამოეცხადა მოწაფეებს, რომელთაც ღვთის სასუფეველზე ელაპარაკებოდა. აჩვენა ჯვარცმიდან დარჩენილი წყლულები, ამის შემდეგ ქრისტეს აღდგომა მათაც იწამეს.

აღდგომის დღესასწაულს მრავალი ტრადიცია უკავშირდება. მათ შორის არის კვერცხის წითლად შეღებვა. ეს ტრადიცია წითელ პარასკევს ანუ მაცხოვრის ჯვარცმის დღეს უკავშირდება. როდესაც მარიამ მაგდალინელი იმპერატორს წარუდგინეს, მან ქვეყნის მმართველს სიმბოლურად კვერცხი გადასცა და ქრისტეს აღდგომა ახარა. იმპერატორს ამის გაგონებაზე გაეცინა და თქვა, რომ ამის დაჯერება ისეთივე რთული იქნებოდა, როგორც ის, რომ ეს კვერცხი გაწითლდებოდა. მას ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა და კვერცხი ჯერ გავარდისფრდა, ბოლოს კი გაწითლდა. მარიამმა იმპერატორს ისიც აუწყა, რომ კვერცხი სიცოცხლის სიმბოლოა, წითელი კვერცხი – მაცხოვრის აღდგომისა. ეს გახდა დასაბამი იმისა, რომ ქრისტიანებს უფლის აღდგომა ერთმანეთისთვის წითელი კვერცხებით მიელოცათ.

ლარნაკებში დათესილი ხორბალი და მწვანე ჯეჯილზე გაგორებული წითელი კვერცხები სიკვდილის ძლევის სიმბოლოა. სააღდგომო სუფრა მრავალფეროვანი უნდა იყოს. ამ დღისთვის გამომცხვარი პასქა მაცხოვარს გვახსენებს, რომელიც ამბობს: “მე ვარ პური ზეცით გარდამოსული”.

ქრისტე აღდგა!!!

14 აპრილი – ქართული ენის დღე

12 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. პროფესორ–მასწავლებლებმა 1978 წლის 14 აპრილი გაიხსენეს და მომავალ თაობას ენის სიწმინდის დაცვისაკენ მოუწოდეს.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია უნივერსიტეტში უკვე ტრადიციად არის დამკვიდრებული. ენათმეცნიერებმა ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორების მიერ გამოცემული წიგნები შეაფასეს და მომავალი თაობის აღზრდის საქმეში მათ როლსა და მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

14 აპრილს, კვირას, უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორ–მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში შეიკრიბნენ. მათ ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმართულებით მსვლელობა მოაწყვეს. ღონისძიების მონაწილეებმა გაიხსენეს 1978 წლის 14 აპრილს, რუსთაველის გამზირზე გამართული საპროტესტო აქცია და ქართული ენის დამცველის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ძეგლი გვირგვინით შეამკეს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლებმა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქველმოქმედო აქციაში მიიღეს მონაწილეობა და წმ. ეკატერინეს სახელობის სათნოების სავანეს საჩუქრად მხატვრული ლიტერატურა გადასცეს.

35 წლის წინ გამოსული რამდენიმე ათასი ადამიანი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობის ნებას წინ აღუდგა და საბჭოთა კონსტიტუციის 78-ე მუხლში შეტანილი იმ ცვლილების დამტკიცება არ დაუშვა, რომლის მიხედვითაც, ქართული ენა სახელმწიფო ენის სტატუსს კარგავდა. 1990 წლიდან 14 აპრილი დედაენის დღედ აღინიშნება.

9 აპრილი

1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა არმიის ნაწილებმა დილის 4 საათზე მთავრობის სახლის წინ მომიტინგეები არნახული სისასტიკით დაარბიეს. ოფიციალური მონაცემებით, მანიფესტაციის დაშლის დროს 16 კაცი ადგილზე დაიღუპა. მათ შორის 14 ქალი იყო, ერთი მათგანი – ორსული. ბარბაროსულად მოკლულთა შორის კი ყველაზე ახალგაზრდა 16 წლის გოგონა გახლდათ.

ყველაფერი ასე დაიწყო: 1989 წლის 18 მარტს აფხაზეთში, სოფელ ლიხნში შეკრებილმა აფხაზთა მრავალათასიანმა მიტინგმა საბჭოთა კავშირის უმაღლეს ორგანოებს მიმართა და საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის საკითხი დააყენა. ეს გარემოება ცხადყოფდა, რომ ნიადაგი სეპარატისტული მოძრაობის გაღვივებისათვის ამ რეგიონში გაპოხიერებული იყო.

ლიხნის ანტიქართული გამოხტომა დაგმო აფხაზეთის ქართველმა მოსახლეობამ. აფხაზეთში „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება” მიტინგებს ატარებდა. ერთ-ერთი აქციის შემდეგ სოხუმისაკენ მიმავალ ავტობუსს, რომელშიც მომიტინგეები ისხდნენ, თავს დაესხნენ (მიტინგი ანტიაფხაზური კი არა, ანტიიმპერიალისტური იყო). 1989 წლის 2 აპრილს ამის გამო სოხუმში გრანდიოზული აქცია გაიმართა, რომელშიც ბევრი აფხაზი მონაწილეობდა. ,,ილია ჭავჭავაძის საზოგადოებამ” ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკების პროვოცირების თავიდან ასაცილებლად წინააღმდეგობის ცენტრის თბილისში გადატანა გადაწყვიტა.

4 აპრილიდან თბილისში საყოველთაო გაფიცვა დღის 3 საათზე დაიწყო, როცა სამედიცინო ინსტიტუტის ტერიტორიაზე სტუდენტების მიტინგი გაიმართა. მონაწილეები აფხაზეთის ავტონომიის გაუქმებას მოითხოვდნენ. ამავე საღამოს, 7 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საააქტო დარბაზში კიდევ ერთი მიტინგი მოეწყო. გადაწყდა, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობისადმი ეროვნული დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინათ, საქართველოში დროებითი მთავრობა შექმნილიყო და ავტონომიურო ფორმირებები გაუქმებულიყო. ამის შემდეგ მომიტინგეთა უმრავლესობა მთავრობის სახლისაკენ გაემართა. შედგა ახალი მიტინგი, რომელიც მეორე დილის 5 საათისათვის დამთავრდა, როცა ახალგაზრდების ერთმა ნაწილმა შიმშილობა გამოაცხადა.

5 აპრილს აფხაზეთის პრობლემატიკამ მომიტინგეთათვის მეორე ადგილზე გადაინაცვლა. ორატორთა გამოსვლებში აქცენტი სსრ კავშირის შემადგენლობიდან საქართველოს გამოსვლის მოთხოვნაზე გაკეთდა. ეროვნული მოძრაობის რადიკალურმა ნაწილმა გამოაცხადა, რომ აფხაზეთის პრობლემა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე მოგვარდებოდა. მომიტინგეებს თანდათან სხვადასხვა საწარმოებისა და სასწავლებლების წარმომადგენლები უერთდებოდნენ. უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა ჯგუფები ჩამოყალიბდა, რომლებიც შენობებში მასწავლებლებსა და სტუდენტებს არ უშვებდნენ და გაფიცვისკენ მოუწოდებდნენ. გამოცხადდა, რომ თუ არ დაკმაყოფილდებოდა მოთხოვნა, საქართველო სსრ კავშირის შემადგენლობიდან გამოსულიყო, საყოველთაოეროვნული გაფიცვა და მასობრივი შიმშილობა დაიწყებოდა.

7 აპრილისათვის მთავრობის სახლის წინ უკვე საშუალოდ 10-20 ათასი კაცი იმყოფებოდა. ერთ-ერთმა ლიდერმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის პრეზიდენტებს მიმართა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ აგრესიის გამოყენება ეცნოთ.

მომიტინგეთა მოთხოვნები ხელისუფლებისათვის იმდენად მიუღებელი იყო, რომ მთავრობასა და ეროვნულ მოძრაობას შორის მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. 8 აპრილს, კრემლის ზეგავლენით, საქართველოს რესპუბლიკური აქტივის სხდომაზე მომიტინგეთა დარბევის გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირეს. გამოქვეყნდა სსრკ-ის უმაღლესი საბჭოს ბრძანებულება, რომლის თანახმადაც მიტინგებისა და დემონსტრაციების აღკვეთის პირობები მკაცრდებოდა. ეს ბრძანებულება უშუალოდ თბილისის მოვლენების შეჩერების მიზნით მიიღეს. ყოველივე ამით კი მიტინგის დარბევის იურიდიული საფუძველი შეიქმნა.

8 აპრილსვე დღის მეორე ნახევარში გავრცელდა ხმა, თითქოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ქვედანაყოფებს მიტინგის დაშლის შესახებ მითითება ჰქონდათ მიცემული. ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევის მიზნით ლიდერების ხელმძღვანელობით მიტინგის ადგილის ირგვლივ მდებარე ქუჩების ავტობუსებითა და სატვირთო მანქანებით გადაკეტვა დაიწყეს. ლიდერები შეკრებილთ მოუწოდებდნენ, არ წასულიყვნენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამხედრო ნაწილები გამოჩნდებოდნენ. მომიტინგეებმა ყურად არ იღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის – ილია მეორის მოწოდება სასწრაფოდ დაშლის შესახებ...

9 აპრილის დილისათვის ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილები ბრძანების შესასრულებლად მზად იყვნენ. მომიტინგეთა დაშლა საქართველოს მილიციასაც კი არ ანდეს. მოსკოვიდან თვითმფრინავებით საბჭოთა კავშირის შინაგანი ჯარების სპეცდანიშნულების 420 ჯარისკაცი გენერალ ეფიმოვის მეთაურობით გამოაგზავნეს. მიტინგის დარბევას ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იგორ როდიონოვი ხელმძღვანელობდა. დამსჯელმა ნაწილებმა მომიტინგეებს აღყა ყველა მხრიდან შემოარტყეს. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, ორლესული მახვილებითა და მომწამვლელი გაზით.

მთავრობის სასახლის წინ ასეული ჯარისკაცი იერიშით შეიჭრა და მომიტინგეებსა და მოშიმშილეებს შეუბრალებლად დაუწყო ჩეხა. უმწეო მსხვერპლთ ალესილ ნიჩბებსა და ხელკეტებს ურტყამდნენ შეძახილებით “სტალინისათვის!”. მიტინგი სულ რამდენიმე წუთში დაიშალა. მოედანზე მხოლოდ დასახიჩრებული და ბარბაროსულად მოკლული ადამიანების გვამები დარჩა. 200-ზე მეტი კაცი გაზით მოიწამლა, მრავალი კი – დაიჭრა. როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ქიმიური იარაღიც იყო გამოყენებული. ექიმები დაშავებულებს ვერ ეხმარებოდნენ, რადგან არ იცოდნენ ამ ქიმიური იარაღის შემადგენლობა. სამხედროებმა კი, რა თქმა უნდა, ეს საიდუმლო არ გაამხილეს.

9 აპრილმა ქართველობა უფრო მტკიცედ შეამჭიდროვა ეროვნული სუვერენიტეტისათვის ბრძოლაში. ამ დღეს დაღუპულები ეროვნულ გმირებად შერაცხეს. ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ საყოველთაო ხასიათი შეიძინა.

ოთარ გოგოლიშვილი,
ასოცირებული პროფესორი

„ვალდებული ვარ, ყველას მოთხოვნა გავითვალისწინო“

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

მიგვყავს, რომ არ დავუშვათ გამოუსწორებელი შეცდომა.

- მნიშვნელოვანი საკითხია აჭარის ტელევიზიის სტატუსიც. დღეს უკვე მას ახალი ხელმძღვანელობა ჰყავს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ მის საზოგადოებრივი მაუწყებლის დაქვემდებარებაში გადასვლაზე იყო საუბარი. რას იტყვის აჭარის პირველი პირი ამის შესახებ?

— ჩვენი მოსვლისთანავე იყო საუბარი, რომ აჭარის ტელევიზია არ უნდა იყოს მთავრობის მეთაურზე დაქვემდებარებული დაწესებულება. მისი დამოუკიდებლობა აუცილებელ პირობად მიმაჩნია და ეს პოზიცია თავიდანვე დავაფიქსირეთ. ჩვენ მას მხოლოდ 6-თვიანი ბიუჯეტი დავუმტკიცეთ. ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის წარმომადგენლებიც იყვნენ ამ საკითხზე ჩამოსული. მიმდინარეობს მსჯელობა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეოთხე არხად გადაკეთების თაობაზეც. პარლამენტი უახლოეს მომავალში ამ საკითხს განიხილავს და დაამტკიცებს კიდეც, რამდენიმე ვარიანტია და იქიდან ყველაზე ოპტიმალურს შეარჩევენ. რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას, ვფიქრობ, რომ აჭარის ტელევიზია დამოუკიდებელი უნდა იყოს, ზემდგომი ორგანოები მის საქმიანობაში არ უნდა ერეოდნენ.

თუკი დღევანდელ აჭარის ტელევიზიას პირველ ოქტომბრამდე არსებულს შევადარებთ, იოლად შესამჩნევია სხვაობა. ბევრი რამ შეიცვალა. გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად ღებულობენ. რასაც ადრე ვერ ბედავდნენ, დღეს ამას მარტივად ახერხებენ. მივესალმები იმასაც, რომ უკვე მეტ ყურადღებას რეგიონის ამბებს აქცევენ. ვფიქრობ, მათ აქვთ თავისუფლების შეგრძნება, რადგან ჩვენი ხელი არ ურევია და საკითხებს არ ვკარნახობთ.

— აპირებს თუ არა აჭარის მთავრობა სტუდენტთა მიზნობრივი პროგრამების განხორციელებას?

— ზუსტად გამიჭირდება

იმის თქმა, რამდენ მიზნობრივ პროექტსა თუ პროგრამას ახორციელებს განათლების სამინისტრო სტუდენტებისთვის. მაგრამ ვიცი, რომ არის კონკრეტული შეღავათები სოციალურად დაუცველთათვის, უდედმამოთათვის 165%-ით გაიზარდა სტუდენტების დახმარების მიზნობრივი პროგრამა. ნახევარი მილიონი ლარი გამოიყოფა მაღალმთიანი მუნიციპალიტეტებიდან ობოლი და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი და სოციალურად დაუცველი სტუდენტების დასაფინანსებლად.

რაც შეეხება საზღვარგარეთ გაცვლით პროგრამებს, ჩემთვის ცნობილია, რომ რამდენიმე უნივერსიტეტთან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც აქვს მემორანდუმი გაფორმებული. აქვე აღვნიშნავ, მომავალი ექიმებისთვის სწავლების მეორე საფეხურზე კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყნიდან გვაქვს შემოთავაზება.

– მოგეხსენებათ, უნივერსიტეტს ფართის პრობლემა აქვს, რაც, შესაბამისად, უარყოფითად აისახება ავტორიზაციის დროს. ამ საკითხთან დაკავშირებით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან გქონდათ შეხვედრა. რა ფაზაშია აღნიშნული საკითხი?

— რამდენადაც ვიცი, ეს საკითხი გადაწყვეტილია და ფართი უნივერსიტეტს გადაეცემა. ისე ვიტყვი, რომ უნივერსიტეტი თავისუფალი არ ყოფილა, იგი ვიღაცაზე დამოკიდებული იყო. საგანმანათლებლო დაწესებულება ყველა დროში დამოუკიდებლად მესახება. ისე მიკვირს, დღეს რომ მე სკოლის შენობას მთხოვენ, გუშინ ისევ უნივერსიტეტმა თავისი ხელით იგი ეკონომიკის სამინისტროს როგორ გადასცა? რა მოტივით გააკეთა ეს, როცა იცოდა, რომ კარგავდა ავტორიზაციას და მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას? ეს არა მარტო უნივერსიტეტისთვის, არამედ რეგიონისთვის, მომავალი თაობისთვის არის მიუღებელი. ახლა კი რომელი სპეციალობები უნდა შეამცირო? გამოგიტყდებით, თამარის დასახლებაში არსებული სკოლის შენობის გადაცემას ხელოვნების ინსტიტუტისთვის ვაპირებდით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ უნივერსიტეტის ყოფილა და ლაბორატორიებისთვის სჭირდებოდათ, რომელიც ზღვასთან ახლოს უნდა ყოფილიყო. მოკლედ, ყველაფერი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის სასიკეთოდ გადაწყდა... ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი „ჩემი უნივერსიტეტია“ . ბუნებრივია, მეც მინდა, რომ იქ სწავლებისთვის შესაბამისი პირობა იყოს შექმნილი, კურსდამთავრებულები კი წარმატებული იყვნენ.

— აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სამომავლო გეგმები, მიზნები და ამოცანები...

— ჩემთვის ძალიან დიდი ბედნიერება იქნება იმ ადამიანების ხვალინდელი დღის უზრუნველყოფა, რომელთაც ჩვენი იმედი აქვთ. ჩვენ წინაშე უამრავი სოციალური პრობლემაა, ეს იქნება ეკომიგრანტებისა თუ ბარაკებში მცხოვრებლებისა. სწორედ მათი დაკმაყოფილებაა ჩემთვის უმნიშვნელოვანესი, თუმცა რადგანაც ფინანსისტი ვარ, ვაცნობიერებ, რომ ამ ყველაფრის ერთ და ორ წელიწადში შესრულება შეუძლებელია. ამ ეტაპზე არსებული ბიუჯეტიც რომ მხოლოდ ამ საკითხების გადაჭრას მოვახმაროთ, მაინც ვერ შევძლებთ საქმის ბოლომდე გამოსწორებას, ამიტომ ეს ყველაფერი ეტაპობრივად უნდა მოხერხდეს, სამოქმედო გეგმა და კონკრეტული პროგრამა უნდა გაიწეროს. ჩვენ ვცდილობთ, თითოეულ საკითხს ფრთხილად მოვეკიდოთ.

ისე, სტიქიამაც სწორედ ახლა შემოგვიტია. ყველანაირი სტიქიური მოვლენა ახლა დაგვატყდა თავს: მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა თუ ძლიერი ქარი.

— არჩილ ხაბაძის ერთი ჩვეულებრივი დღე...

— თითქმის ყოველი დღე ჩვეულებრივია, ძალიან დატვირთული გრაფიკით. სამსახურში დილით მოვდივარ. შაბათ-კვირასაც ვმუშაობ, მაგრამ მოგვიანებით მოვდივარ სამსახურში — ძალების მოკრებას ვცდილობ, რათა მომდევნო კვირაში ენერგიულად შევუდგე საქმეს. ვფიქრობ, საინტერესო საქმე მაქვს. რაც არ ვიცი, იმის სწავლა მიხარია. მინდა, მოკლე დროში ბევრი რამ გავაკეთო. როგორც ზოგიერთები ამბობენ, სწრაფად ვსწავლობ ყველაფერს. თუ ერთხელ შეცდომა დავუშვი, ვცდილობ, აღარ გავიმეორო.

დღეში მინიმუმ 5-6 შეხვედრა მაქვს, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ დონეზე. რაც შეეხება გადაწყვეტილებების მიღებას, მინისტრებთან შეხვედრას თუ თანამშრომლებთან დიალოგს რიგ საკითხებთან დაკავშირებით, საღამოს 5-6 საათის შემდეგ ვახერხებ.

ნესტან მამუჭაძე

„სტუდენტთა კარიერული განათლების ცენტრის შექმნა საქართველოში“

ტემპუსის საგრანტო პროექტის ფარგლებში - „სტუდენტთა კარიერული განათლების ცენტრის შექმნა საქართველოში“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრა გაიმართა. პარტნიორი უნივერსიტეტებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართველი, ინგლისელი, უნგრელი და ლიტველი ექსპერტები სამი დღის განმავლობაში სტუდენტების სასწავლო პროგრამასა და პერსონალის ტრენინგის პროგრამას გაეცნობიან. შედგება „ეროვნული დისკუსია“, სადაც პროექტის მონაწილეები პროგრამების საბოლოო ვარიანტზე შეთანხმდებიან. საგრანტო პროექტი ორწლიანია და მიზნად ისახავს სტუდენტთა კარიერული განვითარების ხელშეწყობას. ასევე ითვალისწინებს უმაღლესი განათლების რეფორმასა და მოდერნიზაციის ხელშეწყობას პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების საუნივერსიტეტო მენეჯმენტისა და სტუდენტთა მომსახურების სფეროებში. პროგრამის ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე მომზადდებიან ტრენერები, რომლებიც სტუდენტებს დაეხმარებიან სამსახურის არა ერთჯერადად მოძებნაში, არამედ დამსაქმებლებთან სწორი კომუნიკაციის წარმოებაში, საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენაში, კარიერის უკეთ დაგეგმვაში, გუნდური მუშაობის და გასაუბრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების შეძენაში.

23 აპრილი - წიგნის საერთაშორისო დღე

წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა საქველმოქმედო აქციით აღნიშნეს. სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ახალგაზრდებმა 300-მდე წიგნი შეაგროვეს და გაყიდეს. შემოსული თანხა წარმატებული და სოციალურად დაუცველი სტუდენტების მხარდაჭერის ფონდში გადაირიცხება. ის წიგნები კი, რომლებიც ერთდღიანი აქციის ფარგლებში არ გაიყიდება, სასჯელაღსრულების დაწესებულების მსჯავრდებულებს საჩუქრად გადაეცემა. წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღე იუნესკოს გადაწყვეტილებით 1996 წლიდან აღინიშნება.

არჩევნები უნივერსიტეტში

12 აპრილს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდა. საინტერესო იყო წინასაარჩევნო მარათონიც. არჩევნებში სულ ოთხი კანდიდატი მონაწილეობდა. მათივე წინასაარჩევნო პროგრამები სტუდენტური თვითმმართველობის ფუნქციებს, სტუდენტთა ინტერესების დაცვას და რიგი საკითხების მოგვარებას ეხებოდა.

— რა არის თქვენი პროგრამის მთავარი მიზანი და რატომ უნდა დაგიჭირონ მხარი სტუდენტებმა?

ლევან დუაძე: „ჩვენი მიზანია სტუდენტური თვითმმართველობა იყოს რეალურად

დამოუკიდებელი, არა ძალოვანი სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიებისა და ადმინისტრაციის ინტერესების გამტარებელი უნივერსიტეტში, ჰქონდეს დამოუკიდებელი ბიუჯეტი, იყოს ადმინისტრაციის საქმიანობის, სწავლის ხარისხის, უნივერსიტეტის ბიუჯეტის ხარჯვაზე კონტროლის მექანიზმი. ვაპირებთ ასევე ფაკულტეტის საბჭოების დღის წესრიგში ახალი ინიციატივების დაყენებას, სხვადასხვა კულტურული, სამეცნიერო, სპორტული, ტურისტული, ინტელექტუალური და გასართობი ღონისძიების განხორციელებას“.

გულო თურმანიძე („gulo-Business Wo/Man” — საინიციატივო ჯგუფი): „ჩვენი პროგრამის ერთ-ერთი პრიორიტეტი გარდა იმისა, რომ გუნდური მუშაობის შედეგად შეიქმნა, გახლავთ ის, რომ პროგრამა ზუსტადაა აგებული სტუდენტების ინტერესებზე, მათ მოთხოვნებზე და ორიენტირებულია სტუდენტური პრობლემების მოგვარებაზე, ემსახურება სტუდენტთა ჩართულობის გაზრდას, ინოვაციების დანერგვას, სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას და სტუდენტთათვის მიზნობრივი ღონისძიებების დანერგვას, აგრეთვე, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებასა და გახალისებას.

ჩვენ, როგორც დამოუკიდებელმა სტუდენტურმა მოძრაობამ, უკვე შევძელით და სტუდენტებში მოტივაცია თანდათან ავამაღლეთ. ამ ფონზე აშკარად იგრძნობა, რომ მათ აღარ სურთ ყოველდღიურად უყურონ იმას, რაც არ მოსწონთ. უნივერსიტეტში დაცული უნდა იყოს აზრის გამოხატვის თავისუფლება.

ჩვენი მთავარი პრიორიტეტია: გამჭვირვალობა, ჯანსაღი კონკურენცია, სამართლიანობა და ყველა სტუდენტის ჩართვა უნივერსიტეტის მართვის პროცესში.

ჩვენ სტუდენტების მხარდაჭერის იმედი გვაქვს და ამ შემთხვევაში გამარჯვებული იქნება მთელი სტუდენტობა“.

ზურაბ მესხიძე („აპოლიტიკის“ ლიდერი): „ჩვენი უმთავრესი მიზანია სტუდენტური თვითმმართველობა იყოს აპოლიტიკური, დამოუკიდებელი გარე ძალებისა და პოლიტიკისაგან და ატარებდეს მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტების ინტერესებს და პოლიტიკას. უპირველეს ყოვლისა, კოალიცია გამარჯვების შემთხვევაში იზრუნებს თითოეული სტუდენტის უფლების დაცვაზე, მათ მონიტორინგზე, სამართლებრივ, ეკონომიკურ და სხვადასხვა ტექნიკურ დახმარებაზე.

მოსვლის დღიდან, სტუდენტურ თვითმართველობაში, არა ერთი ცვლილება განვახორციელე (ინტელექტუალურ–სპორტული მიმართულებით), წინასაარჩევნო კამპანიის დროს ვატარებდით გასართობი ხასიათის ღონისძიებებს, ასევე დავამყარეთ კავშირი ბათუმში არსებულ სხვადასხვა ორგანიზაციასთან ურთიერთთანამშრომლობის მიზნით. ცვლილებები არ განისაზღვრება სიტყვებით. მე ვარ სტუდენტი და მაშასადამე, ვარ აპოლიტიკური“.

გოჩა სურგულაძე (დამოუკიდებელი სტუდენტური მოძრაობა „ალტერნატივა“): „ალტერნატივას“ უმთავრესი მიზანი არის სტუდენტური თვითმმართველობის გადაქცევა პატარა „აგორა“-დ, სადაც თვითმმართველობის წევრებს ექნებათ შესაძლებლობა აქტიურად ჩაებან ყველა საჭირბოროტო თემის განხილვაში, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, რაც აისახება შედეგზე. სტუდენტური თვითმმართველობა იქნება მეტად ღია და ჯანსაღი კრიტიკის ქვეშ მოექცევა. თუ ამის განხორციელების საშუალება მოგვეცემა, მაშინ ჩვენი მიზანი და დაპირება შესრულდება, რომელიც მოიცავს: სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობას, უნივერსიტეტის ავტონომიის მოპოვებას და შენარჩუნებას; მმართველობის დეცენტრალიზებას, დებულების გადახედვას; ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ყველა სტუდენტისათვის, უნივერსიტეტის მართვაში სტუდენტთა მონაწილეობის უზრუნველყოფას, სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, ადმინისტრაციის საქმიანობისა და ბიუჯეტის ხარჯვაზე კონტროლის დაწესებას; სწავლების ხარისხის ამაღლებას, სტუდენტთა ინიციატივებისა და პროექტების განხორციელებაში მხარდაჭერას, საგამომცემლო საქმიანობის წარმართვას, სტუდენტთა თავისუფალი დროის ნაყოფიერად ორგანიზებას, სპორტული და კულტურული ცხოვრების გამოცოცხლებას, ნიჭიერ სტუდენტთა წარმოჩენას და წახალისებას, უნივერსიტეტში არსებულ ანსამბლთა მხარდაჭერასა და ხელშეწყობას, სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ხელშეწყობას, უცხოეთის სტუდენტურ ორგანიზაციებთან ინტენსიური ურთიერთობების დამყარებას“.

12 აპრილის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებიც აკვირდებოდნენ, თუმცა მას უხმაუროდ ნამდვილად არ ჩაუვლია. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულებს მომდევნო მარათონი ელით, წინ სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევნებია...

მღელვარე 19 აპრილი...

კანდიდატების არჩევნებიდან 1 კვირის შემდეგ, 19 აპრილს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში თვითმმართველობის თავმჯდომარის არჩევნები ჩატარდა. კანდიდატების ერთიმეოთხედის გადაწყვეტილებით დასახელდა ორი გამარჯვებული გუნდის ლიდერი: „აპოლიტიკას“ თავმჯდომარე ზურაბ მესხიძე და „ალტერნატივას“ თავმჯდომარე გოჩა სურგულაძე. არჩევნები მღელვარედ მიმდინარეობდა. აღსანიშნავია, რომ ხშირი იყო საჩივრები, შეხლა-შემოხლა და მუქარა დაპირისპირებულ გუნდებს შორის.

სანამ ახალ თავმჯდომარეს გამოავლენდნენ, რამდენიმე საათით ადრე, საინტერესო იყო ყოფილი თავმჯდომარის, აწ უკვე თვითმმართველობის რიგითი წევრის, უჩა აბრამიშვილის აზრი: „ვულოცავ ყველა იმ კანდიდატს, ვინც სტუდენტური თვითმმართველობის წევრი გახდა, რადგანაც მათ სტუდენტებმა ნდობა გამოუცხადეს და სწორედ მათი სახელით იმუშავებენ“.

ხოლო კითხვაზე, თუ როგორი არის მისი მოლოდინი ორივე კანდიდატის მიმართ, ყოფილმა თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „მართლაც ღირსეული და ძლიერი კანდიდატები არიან. იმედი მაქვს, იაქტიურებენ და ერთობლივი მუშაობით მიაღწევენ დიდ შედეგს“.

არჩევნების დღეს ორივე კანდიდატს კიდევ ერთხელ გავესაუბრეთ. მათ კი წინასაარჩევნო პოზიცია და მოსალოდნელი შედეგები გაგვიზიარეს: ზურაბ მესხიძე: „ხმათა უმრავლესობით გავედით მე და გოჩა სურგულაძე. კონკურენცია მართლაც დიდია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ზეწოლა იყო ჩემი გუნდის წევრებზე, ველოდებით 12 საათის დადგომას და საუბნო კომისიის გახსნას, რომ შევიდეთ და დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია“.

გოჩა სურგულაძე: „გამარჯვებული მე ვიქნები თუ ზურაბი, ამას სტუდენტები გადაწყვეტენ, მაგრამ მთავარი გამარჯვება კი არა, საქმის კეთებაა. სტუდენტებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი არიან ამ უნივერსიტეტის წარმმართველი ძალა, ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ წინსვლისთვის და პირველობისთვის“.

კანდიდატები მზად არიან ერთმანეთთან თანამშრომლობისთვის. მათი მიზანი სტუდენტური თვითმმართველობის დამოუკიდებლობა და კეთილმეგობრული გარემოს შექმნაა.

არჩევნების მსვლელობის დროს გავესაუბრეთ ცესკოს თავმჯდომარეს, ნინო გალოგრეს. მან აღნიშნა, რომ არჩევნები მშვიდ გარემოში მიმდინარეობს და დარღვევები არ აღინიშნება: „ველოდებით 87 ამომრჩეველს, შედეგები საღამოსთვის უკვე იქნება ცნობილი“.

არჩევნების ერთ–ერთმა დამკვირვებელმა ლევან ტარიელაძემ განაცხადა, რომ „საუბნო ოლქებმა კარგად იმუშავა. ცესკოში ხშირად იყო პრობლემები სიებთან დაკავშირებით, ასევე ბიულეტენებში რამდენიმე კანდიდატი არასწორად იყო დაბეჭდილი, მაგრამ ყველაფერი მოწესრიგდა. ჯერჯერობით არანაირი დარღვევა არ დაფიქსირებულა“.

ხანგრძლივი და შრომატევადი წინასაარჩევნო პროგრამის შემდეგ, ხმათა უმრავლესობით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე ზურაბ მესხიძე გახდა. იგი უკვე თავმჯდომარის ამპლუაში აცხადებს, რომ დებულების შეცვლას აპირებს, განახორციელებს მნიშვნელოვან პროექტებს, რათა სტუდენტებმა გადაწყვეტილების სისწორე დაინახონ.

19 აპრილს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ცხოვრებაში დრომ ახალი ათვლა დაიწყო...

სალომე მჟავანაძე,
ისტორიის სპეციალობის
მესამე კურსის სტუდენტი

საბავშვო უნივერსიტეტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ,,საბავშვო უნივერსიტეტი“ 2012 წლის სექტემბრიდან ფუნქციონირებს, რომელსაც ბატონი **ზებურ ავალიანი** ხელმძღვანელობს (სპეციალისტი დარეჯან ბარაბაძე). ,,საბავშვო უნივერსიტეტის“ უმთავრესი მიზანია სწავ-

ლების თანამედროვე ტექნოლოგიებისა და მეთოდიკის გამოყენებით უზრუნველყოს მოზარდების სრულფასოვანი მომზადება საუნივერსიტეტო თუ სპეციალური განათლების მისაღებად.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საბავშვო უნივერსიტეტის“ არსებობას მომავალი თაობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული სამსახური მოზარდებს ინტერესს უჩენს რიგი საგნებისადმი და კონკრეტული მეცნიერებების მიმართ მეტად მოტივირებულს ხდის. შესაბამისად, ისინიც იყენებენ უნივერსიტეტისგან „მიცემულ შანსს“. ინტერესი და ენთუზიაზმი იკითხება როგორც მოსწავლესა და მშობელში, ასევე პროფესორ-მასწავლებელშიც.

„საბავშვო უნივერსიტეტის“ ამოცანებია:

ა) სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მსმენელს შეუქმნას პირობები საკუთარი ინტელექტუალური, ფიზიკური თუ სულიერი თვისებებისა და მიდრეკილებების გამოსავლენად და გასავითარებლად;

ბ) შეუქმნას მსმენელს პირობები, რათა მან სწორად აირჩიოს თავისი მომავალი, განვითარების გზა (გააგრძელოს სწავლა უმაღლეს სასწავლებელში, ან ჩაებას შრომით საქმიანობაში).

„საბავშვო უნივერსიტეტში“ სულ - 244 მოსწავლეა

„საბავშვო უნივერსიტეტი“ დარგობრივ ცენტრებად არის დაყოფილი, თითოეულ დარგს კი თავისი კოორდინატორი ჰყავს.

1. ნორჩ მათემატიკოსთა - კოორდინატორები: ზ. ავალიანი, რ. ცინარიძე (82 მოსწავლე);

2. ნორჩ ფიზიკოსთა - კოორდინატორები: ო. ნაკაშიძე, ზ. გამიშიძე (104 მოსწავლე);

3. ნორჩ ქიმიკოსთა - კოორდინატორები: ნ. დიდმანიძე, ი. ბეჟანიძე (44 მოსწავლე);

4. ნორჩ გეოგრაფთა - კოორდინატორი: მ. ფუტკარაძე (73 მოსწავლე);

5. ნორჩ ბიოლოგთა - კოორდინატორი: ნ. გვარიშვილი (42 მოსწავლე);

6. ნორჩ ისტორიკოსთა - კოორდინატორები: ჯ. კარალიძე, შ. მამულაძე (58 მოსწავლე);

7. ნორჩ კომპიუტერელთა - კოორდინატორი: ბ. კახიანი (101 მოსწავლე).

„ამ ცენტრებში გაერთიანებული მოსწავლეები აქტიურად დადიან მეცადინეობებზე. ისინი ისმენენ საინტერესო ლექციებს, აკეთებენ ამოცანებს, უტარდებათ ლაბორატორიული სამუშაოები. აგრეთვე ეძლევათ საშინაო დავალებებიც.

შაბათ-კვირას დაინტერესებული მშობლებიც მოდიან, აკვირდებიან შვილების მეცადინეობებს სხვადასხვა საგნებში. ისინი კმაყოფილები არიან ,,საბავშვო უნივერსიტეტის“ მუშაობით და ამას საჯაროდაც აღნიშნავენ.

აბიტურიენტთათვის მოსწავლეებიდან შექმნილია ჯგუფები, რომლებსაც უტარდებათ კონსულტაციები სხვადასხვა საგნებში“, — აღნიშნა „საბავშვო უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელმა, ბატონმა ზებურ ავალიანმა.

აღსანიშნავია ისიც, რომ „საბავშვო უნივერსიტეტი“ გასულ წელს შაბათობით მათემატიკაში 12-დან 14 საათამდე გუნდურ შეჯიბრებებსაც ატარებდა. ერთმანეთს ამოცანების ამოხსნაში რაიონის რესურსცენტრიდან წარმოდგენილი გუნდები და ბათუმის საჯარო სკოლებისგან დაკომპლექტებული გუნდები ეჯიბრებოდნენ. შეჯიბრებების ჩატარების მიზანი მათემატიკური ნიჭით

დაჯილდოებული მოსწავლეებისათვის საოლიმპიადო ტიპის ამოცანების შესწავლა იყო. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ბათუმის, ბათუმის ცენტრის, ქობულეთის, ხელვაჩაურის და ქედის გუნდები. პირველ ადგილზე 51 ქულით ბათუმის გუნდი გავიდა.

2012 წლის 18 დეკემბერს „საბავშვო უნივერსიტეტმა“ აბიტურიენტთა დაინტერესებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოზიდვის მიზნით აჭარისწყლის, ქედის და მერისის საჯარო სკოლებში გასვლითი ღონისძიება ჩაატარა. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: „საბავშვო უნივერსიტეტის'' ხელმძღვანელი ზებურ ავალიანი, სპეციალისტი დარეჯან ბარაბაძე, მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი თ. ავალიანი, ბსუ-ს კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, სრული პროფესორი ი. დიდმანიძე, განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი ა. ბერიძე.

„მოსწავლეებს მივაწოდეთ ინფორმაცია „საბავშვო უნივერსიტეტის'' მუშაობის შესახებ და მოვიწვიეთ სხვადასხვა ცენტრებში სასწავლებლად. დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს გავაცანით ბსუ-ს ისტორია, მიღწევები, ოთხივე ფაკულტეტის სპეციალობები. ავუხსენით, რომ ვინც პირველი მიუთითებს ბსუ-ს, მათთვის ჩატარდება უფასო კონსულტაციები საგამოცდო საკითხებში.მოსწავლეები კმაყოფილნი დარჩნენ ამ შეხვედრით. მათ ბევრი სიახლე გაიგეს და გამოთქვეს სურვილი ბსუ-ში სწავლისა. ვფიქრობთ, საჯარო სკოლებში შეხვედრები ნაყოფიერი აღმოჩნდა, რადგან სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ მოსწავლეები აჭარისწყლის საჯარო სკოლიდან ჩამოვიდნენ და სხვადასხვა საგნობრივ ცენტრებში მეცადინეობენ“, - ამბობს საბავშვო უნივერსიტეტის სპეციალისტი დარეჯან ბარაბაძე.

,,საბავშვო უნივერსიტეტი“ წარმატებით ართმევს თავს დასახულ მიზნებსა და ამოცანებს. სისტემატურად და ნაყოფიერად ტარდება ყველა საგნობრივ ცენტრში მეცადინეობა, რაც საგნობრივი ცენტრების კოორდინატორების დიდი დამსახურებაა.

* * *

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლმცოდნეობის ფაკულტეტის იურიდიული კლინიკის სტუდენტები: ანნა მდინარაძე, თეონა ნიკოლაიშვილი, თამარ გაბელია, თამილა გაბაიძე, მუხრან ჯორბენაძე, თამუნა აბულაძე, ზაზა დავითაძე, ნინო პატარაია, ინდირა გურგენიძე , მარიამ ნაკაშიძე და თამარ ოგანოვა იურიდიული კლინიკის სუპერვაიზერ მაია ქათამაძესთან ერთად იმყოფებოდნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ კლინიკაში , აღნიშნულ უნივერსიტეტებს შორის არსებული მემორანდუმის ფარგლებში. შეხვედრა მიზნად ისახავდა, სტუდენტებს შორის ურთიერთობების დამყარებას, გამოცდილების გაზიარებასა და სამომავლო ურთიერთობების გაღრმავებას.

ჩვენი უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის სტუდენტები გაეცნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული კლინიკის მუშაობის სტრუქტურასა და საქმიანობის ძირითად ასპექტებს. ასევე, სტუდენტებს ჩაუტარდათ ლექცია - სემინარი თემაზე: „ვალდებულებითი სამართლის პრობლემური საკითხები“, რის შემდეგაც, გაიმართა მსჯელობა აღნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით.

შეხვედრისას დაიგეგმა გარკვეული პროექტები, მათ შორის, იმიტირებული პროცესის ჩატარება, რომელსაც იურიდიული კლინიკის სტუდენტები სამომავლოდ ერთობლივად განახორციელებენ.

იურიდიული კლინიკის დირექტორი:
ლევან ჯაყელი

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სტუდენტებს შეხვდა

საქართველოს სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი აპარატის წარმომადგენლებთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. ქვეყნის ომბუდსმენმა ახალგაზრდებს 2012 წლის ანგარიში წარუდგინა, აპარატის საქმიანობაზე ესაუბრა და სამომავლო გეგმები გააცნო. სტუდენტები ამნისტიით, სასჯელაღსრულების სისტემით, მიწის რეფორმით, დევნილების პრობლემებით, ბავშვთა უფლებების დაცვითა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხებით დაინტერესდნენ. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და უფლებათა დამცველმა ახალგაზრდების აქტუალურ შეკითხვებს უპასუხა.

საჯარო ლექცია თემაზე: „საქართველოს სახელმწიფო ენა, ე.წ. რეგიონული ენები, რეგიონალიზმი და საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია“

პროფესორმა ტარიელ ფუტკარაძემ შოთა რუსთაველის დარბაზში ლექცია წაიკითხა თემაზე: „საქართველოს სახელმწიფო ენა, ე. წ. რეგიონული ენები, რეგიონალიზმი და საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია“. ენათმეცნიერმა საქართველოს ენობრივ-ეთნიკური დინამიკა წარმოადგინა, ისაუბრა როგორ განიხილება ეს საკითხი თანამედროვე მსოფლიოსთან მიმართებაში. მკვლევარმა ლექციაზე განმარტა ტერმინები „რეგიონი“, „რეგიონალიზმი“ და „ევროპული ქარტიის“ ტერმინი — „რეგიონული ენა ან უმცირესობის ენა“. ასევე განიხილა საქართველოს უსაფრთხოების კონცეფცია ქართულ ენასთან მიმართებაში და ყურადღება გაამახვილა კონცეფციაში შესატან დამატებით პუნქტებზე, რათა თავიდან ავიცილოთ ქართული ენის ენობრივ-ეთნიკური დანაწევრება და მისი თანმდევი მძიმე მოვლენები. საჯარო ლექციას უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ალიოშა ბაკურიძე, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის წევრები და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ბევშვობიდან მომღერი ცოცვარიელი

(გაგრძელება. დასაწყისი იხილეთ წინა ნომერში)

სტამბოლის ქართული სავანე

„სტამბოლის ქართული სავანე“–ასე ეძახდნენ ქართველ კათოლიკეთა ეკლესია–მონასტერში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირები სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში–ფერიქოიში (ანგელოზთა სოფელში) განთავსებულ სამლოცველოს–სამონასტრო კომპლექსს. 1861 წლისათვის ეს ადგილი სტამბოლის გარეუბნად ითვლებოდა. 1859 წელს აქ მიწის ნაკვეთი შეიძინა ახალციხელმა კათოლიკე მღვდელმა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა. მან მანამდე ვენეციაში სომეხი მხითარისტების დახმარებით ქართული სტამბა გახსნა, დაბეჭდა ქართული წიგნები; დიდი ნაწილი ამ წიგნებისა სტამბოლში მოღვაწე ქართველმა ვაჭრებმა და ფაბრიკანტებმა (ბიზნესმენებმა) იყიდეს და სტამბოლელ ქართველებში გაავრცელეს. შეიკრიბა გარკვეული თანხა. ასე შეიძინეს მიწის ნაკვეთი ფერიქოიში. ეკლესიის აშენების ნებართვა გასცა ოსმალეთის იმპერატორმა აბდულ მეჯიდმა (1839–1861). ეკლესიის მშენებლობა დამთავრდა იმპერატორ აბდულ აზიზის (1861–1876) დროს 1861 წელს. ეკლესიასთან დაარსდა დედათა და მამათა მონასტრები. ამ მონასტრებთან შეიქმნა ქართულ–ფრანგული (ქალთა) და ქართულ–ბერძნული (ვაჟთა) სასწავლებლები, სადაც სწავლობდნენ სტამბოლში მცხოვრები ქართველების შვილები. ბევრი ახალგაზრდა საქართველოდანაც მიდიოდა სასწავლებლად. აქაურ სკოლებში აღიზარდნენ ცნობილი ქართველი მეცნიერები–მიხეილ თამარაშვილი, მიქაელ თარხნიშვილი, შალვა ვარდიძე. აქ ერთხანს სწავლობდა წმ. გრიგოლ ფერაძე. სტამბოლის ქართულ სავანეში 1870 წლიდან მუშაობდა ქართული სტამბა, სადაც 200–ზე მეტი დასახელების წიგნი დაიბეჭდა.

სტამბოლის ქართული სავანე იყო არა მხოლოდ ქართული სალოცავი–საყდარი (როგორც თვითონ ამბობდნენ, ქართულია „საყდარი“ და ასე უნდა ვამბობდეთო. „ეკლესია“ ბერძნული სიტყვაა), არამედ კულტურულ–საგანმანათლებლო კერა, ქართველთა ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის საზღვარგარეთული ცენტრი, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ეროვნული ცნობიერების სამჭედლო. ამ სამონასტრო კომპლექსს ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებდნენ ოსმალეთის იმპერატორები–სულთან აბდულ მეჯიდი, სულთან აბდულ აზიზი და სულთან აბდულ ჰამიდი (სიტყვა „აბდულ“ არაბულია და „ღვთის მონას, მორჩილს“ ნიშნავს). სწორედ, მათი ზეგავლენით იყო გამოწვეული აღნიშნული სულთნების წყალობა, გამოჩენილი ქართული სამონასტრო კერის მიმართ.

ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. 2012 წელს დაიბეჭდა ჩემი მონოგრაფია „სტამბოლის ქართული სავანე“ ქართულ და თურქულ ენებზე. დაინტერესებულ მკითხველს ბევრი საინტერესო მასალა მიეწოდება ამ წიგნებით.

სტამბოლის ქართული სავანის აღწერა, აქ აღზრდილი პავლე ზაზაძის ანდერძის თანახმად, უფალმა მე მარგუნა. ცხადია, მე მარტო ვერ შევძლებდი ამას. 2000–2005 წლებში ჩემი ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის აღწერა საეკსპედიციო ჯგუფთან ერთად. მუშაობა მძიმე პირობებში გვიხდებოდა. 40–50 წლის მანძილზე დაკეტილ ოთახებში მოთავსებული წიგნებისა და საარქივო მასალის განმენდა–გასუფთავება, სათანადო ყუთებში მოთავსება საკმაოდ ძნელი, სახიფათო საქმე იყო ჯანმრთელობისათვის. ქაღალდის ბაქტერიის შემოტევის გამო დამიზიანდა მხედველობა და კინაღამ დავკარგე მარჯვენა ხელის შუა თითი. ღვთის შეწევნით, პატრიარქის ლოცვა–კურთხევით აღვწერეთ 83 000 წიგნადი ფონდი და 10 000–ზე მეტი საარქივო მასალა.

თავდადებით, გულისხმიერებითა და პატრიოტული სულისკვეთებით იშრომეს ექსპედიციის წევრებმა: ელზა, იამზე,შორენა ფუტკარაძეებმა, ციალა მაისურაძემ და გიორგი გოგიტიძემ, გოჩა აბაშიძემ და თეონა ფუტკარაძემ. მათ დიდ მადლობას ვუხდი ერთგულებისა და თავდადებული საქმიანობისათვის. მადლობას მოვახსენებ ჩვენს საპატრიარქოს, აჭარის მთავრობასა და მშობლიურ უნივერსიტეტს მხარდაჭერის, თანადგომისა და ფინანსური დახმარებისათვის. განსაკუთრებული მადლიერება მინდა გამოვხატო თურქეთ–საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის ხელმძღვანელებისა და წევრების–ნიჰათ გოქიითის (გოგიტიძის), ისმეთ აჯარის (ვაჭარიძის), მევლუდ ართვინლის (გოგლიძის), ისმეთ დინდარის (მიქელაძის) მიმართ. სავანის საუნჯის–ბიბლიოთეკისა და არქივის აღწერა ხანგრძლივი სამუშაო იყო. მას დასჭირდა ორი წელი და ოთხი თვე. ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მასპინძელი გახლდათ ჩვენი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი სიმონ ზაზაძე. დიდი მადლობა პირადად მას და მის ლამაზ ოჯახს ჩვენზე ზრუნვისა და მშობლიური პატრონობისათვის.

სტამბულის სავანეში შემონახულია საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურული მემკვიდრეობის მდიდარი საუნჯე. აქაურ ბიბლიოთეკასა და არქივში დაცულ წყაროებზე მომავალში დაიწერება ქართველი ერის უახლესი ისტორიის ამსახველი ჭეშმარიტი ნაშრომები, სამშობლოს გაუცოცხლდება ცხოვრების ბედუკუღმართობით დაღუპული სახელოვანი შვილების ღვაწლი, მათი შემოქმედება. მარტო ის რად ღირს, რომ რეპრესიების მსხვერპლთა ზოგიერთი მათგანის შემოქმედება გადაურჩა განადგურებას და ამ სავანეშია დაცული. მაგალითისათვის დავასახელებთ დიდი მემედბეგ აბაშიძის 106 სტატიას, რომელიც საქართველოში გაანადგურეს, მაგრამ სავანემ შემოინახა.

სავანის ბიბლიოთეკამ დავიწყების ბურუსი ჩამოაცილა, აგრეთვე, ქრისტიანობისთვის წამებულ თეოდორე აჭარელს, უკვე წმინდანად შერაცხულს. გვჯერა, მკითხველი ინტერესით გაეცნობა წმინდა თეოდორე აჭარელის აღმოჩენის ისტორიას. მოგითხრობთ ამის შესახებაც:

სავანის ბიბლიოთეკის აღწერის დროს ბევრი საინტერესო წიგნი მხვდებოდა, მიზიდავდა. ერთ–ერთი ასეთი გახლდათ ქართლის მთავარეპისკოპოსის — ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები–„მოხილ□ა წმინდათა და სახ□ათა აღმოსავლეთისა ადგილთა ტიმოთესგან ქართლისა მთავარ–ეპისკოპოსისა. დაბეჭდილი თფილისს სტამბასა შინა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარიისა, 1852“. წიგნი დაბეჭდილია კავკასიის მეფისნაცვლის თავად მიხეილ სვიმონის ძის ვორონცოვის ბრძანებით. წიგნის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ ტექსტი სასტამბოდ მოუმზადებია ცნობილ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს, წინასიტყვაობაცა და შენიშვნებიც მასვე დაურთავს.

ტიმოთე გაბაშვილმა საბერძნეთისა და ახლო აღმოსავლეთის წმინდა ადგილები მიმოიხილა 1754–1757 წლებში. 1849 წელს ტიმოთეს გზა გაიარა პლატონ იოსელიანმა. იგი გზადაგზა ნახულობდა იმ წმინდა ადგილებს, სადაც ტიმოთე იყო ნამყოფი და აკეთებდა შენიშვნებს. ეს შენიშვნები მან დაურთო 1852 წელს დაბეჭდილ ტიმოთეს მოგზაურობის ტექსტს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა იზმირთან დაკავშირებით გაკეთებული შენიშვნა. ქალაქ იზმირში (სმირნაში) მაშინ ყოფილა მთაწმინდის ქართული მონასტრის მეტოქი (ფილიალი), ე.ი. ქართული მონასტერი. აქ პლატონ იოსელიანს შეხვდა აჭარიდან ლტოლვილი სასულიერო მოღვაწე ნეოფიტე, რომელმაც პლატონს მოუთხრო თავისი თავგადასავალი. ნეოფიტეს ბიძა–თეოდორე ძალიან მორწმუნე ქრისტიანი ყოფილა. მაშინ, მე–18 საუკუნის ბოლოს, ოსმალეთის ქვეშევრდომობაში მყოფ აჭარაში ქრისტიანობის შენარჩუნება ძალიან გაძნელებულა. ქრისტიანობა თურმე მკაცრად არ იდევნებოდა ოსმალეთის შიდა რაიონებში, სადაც უამრავი ქრისტიანი ბერძენი და სომეხი ცხოვრობდა, ამიტომ თეოდორე და მისი ძმის შვილი–ნეოფიტე აჭარიდან გადასულან ჯერ ტრაპიზონში, შემდეგ კი იზმირში. თეოდორე დროთა განმავლობაში დაწინაურებულა ამ ქართულ მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირთა შორის და ეკლესიის წინმძღოლი გამხდარა. სიბერის ჟამს, 1822 წელს, მას განუზრახავს ათონის მთის ქართულ მონასტერში გადასვლა, რათა იმ წმინდა მიწას მიბარებოდა საბოლოოდ. მაგრამ მაშინ ძალიან მძიმე დრო ყოფილა მთაწმინდისათვის. ოსმალები მთაწმინდის აღებას ცდილობდნენ, ომი იყო გაჩაღებული.

მთაწმინდისკენ მიმავალი თეოდორე ოსმალებს დაუტყვევებიათ. მეომრებს მისთვის გამუსლიმანება დაუძალებიათ. თეოდორეს მტკიცედ დაუცავს თავისი სარწმუნოება. მოძალადეებს თავი მოუკვეთიათ თევდორესათვის და ხმელთაშუა ზღვაში გადაუგდიათ მისი წამებული სხეული. ნეოფიტეს ეს ამბავი მალე გაუგია და ქრისტიანული რწმენა კიდევ უფრო განმტკიცებულა მის სულში. ნეოფიტეს სცოდნია ბერძნული წერა–კითხვა და დიდად ნანობდა თურმე, რომ ქართული წერა–კითხვა არ იცოდა.

ნეოფიტეს მონათხრობიდან ცხადი გახდა თეოდორე აჭარელის მონამეობრივი სიკვდილის ამბავი. სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ, ამ მონათხრობის საფუძველზე, დავწერე წერილი: „ქრისტიანობისათვის ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ–დასავლეთ საქართველოში–თეოდორე აჭარელი“. დაიბეჭდა მაშინდელ ჟურნალ–გაზეთებში: „აჭარაში“, „ლიტერატურულ საქართველოში“, „ახალ თაობაში“... თხოვნით მივმართე აჭარა–ლაზეთის ეპისკოპოსს მეუფე დიმიტრის, რომ იქნებ თეოდორე აჭარელი წმინდა სინოდს შეერაცხა წმინდანად. მეუფემ ჩემი წერილი გააცნო პატრიარქს, სინოდის წევრებს. მიზანშეწონილად ჩათვალეს ამ ცნობის გადამოწმება. დაისვა კითხვა: აქამდე საქართველოში რატომ არავინ იცოდა მის შესახებ? ეროვნულ ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა 1852 წელს დაბეჭდილი ზემოთ აღნიშნული წიგნი – ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა, რომელსაც დართული ჰქონდა პლატონ იოსელიანის შენიშვნები. თეოდორე აჭარელის ამბავი ამ წიგნში მოცემული იყო ქალაქ იზმირთან დაკავშირებით გაკეთებულ ერთ–ერთ შენიშვნაში (იხ. გვ. 22, შენიშვნა მეათე). ეროვნულ ბიბლიოთეკას მხოლოდ გააჩნდა ქალბატონ ელენე მეტრეველის რედაქციით დაბეჭდილი ტიმოთე გაბაშვილის მოგზაურობა, რომელიც რატომღაც დაებეჭდათ პლატონ იოსელიანის შენიშვნების გარეშე. სწორედ ამიტომ არ იცოდნენ საქართველოში თეოდორე აჭარელის ნამებული სიკვდილის ამბავი.

ჩემ მიერ მოძიებული ისტორიული წყაროს დასამტკიცებლად, მეუფე დიმიტრის დავალებით, მთელი რიგი ნებართვების მიღების საშუალებით სტამბოლიდან ჩამოვიტანე 1852 წელს დაბეჭდილი წიგნი. გაკეთდა მისი ქსეროასლი და დამტკიცდა ჩემს მიერ მიწოდებული ცნობის სიმართლე. ამის შემდეგ საპატრიარქოს წმინდა სინოდმა 2002 წლის 17 ოქტომბრის სხდომაზე ექვთიმე თაყაიშვილი, ტბელ აბუსერისძე და თეოდორე აჭარელი შერაცხა წმინდანად.

მახსოვს, დიდი სიხარულითა და სიამაყით გადავშალე „საპატრიარქოს უწყებანი“ (იხ. #43, 2002 წ., 25–31 ოქტომბერი, გვ. 5–6), რომელმაც სრულიად საქართველოს ამცნო მეტად სასიხარულო ამბავი: „2012 წლის 17 ოქტომბერს შედგა საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა სინოდის სხდომა.

სხდომას თავმჯდომარეობდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II. პირველ რიგში მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ წმიდა სინოდის წევრებს წარუდგინა ჩვენი ეკლესიისა და ერის წინაშე თავდადებით მოღვაწე იმ პირთა სია, რომელთა წმიდათა დასში შერაცხვა მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული“. წმიდა სინოდმა დაადგინა და წმიდათა დასში შერაცხა ათი პიროვნება. მათ შორის იყვნენ: აბუსერისძე ტბელი (XIII ს.), ექვთიმე თაყაიშვილი (XIX-XX ს.ს.), მღვდელმონაზონი თეოდორე აჭარელი (XVIII-XIX ს.ს.), ათონის მთაზე, ოსმალთაგან ქრისტეს სარწმუნოებისათვის წამებული.

ამიერიდან ჩვენს აჭარას ჰყავს საკუთარი სახელით ცნობილი წმინდანი თეოდორე აჭარელი. მისი ხსენების დღედ დაწესდა 17 თებერვალი (ძველი სათვალავით), 2 მარტი (ახალი სათვალავით). ეს ცნობა რომ წავიკითხე, უბედნიერეს ადამიანად ვიგრძენი თავი. ჩვენი აჭარის უსახელოდ დარჩენილი ათასობით წმი?და?თა ისტორიაში პირველად გამობრწყინდა წმი?და თეოდორე აჭარელის სახელი. მაშინვე მივაშურე ქაშვეთის ტაძარს თბილისში (ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ახლოს), თეოდორე აჭარელის, ტიმოთე გაბაშვილისა და პლატონ იოსელიანის მოსახსენებლად სანთლები დავანთე. ვლოცავდი მათ ნათელ სულებს და ვევედრებოდი, ზეციური საქართველოდან დაელოცათ მინიერი საქართველო... რამდენიმე სანთელი ავანთე, აგრეთვე სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირების მოსახსენებლად, რომელთა გულისხმიერებითაც სავანის ბიბლიოთეკამ შემოინახა 1852 წელს დაბეჭდილი აღნიშნული წიგნი და შთამომავლობას შემოუნახა წამებული თეოდორე აჭარელის ხსოვნა. მხურვალე გულით ვილოცე და შევავედრე უფალს სტამბოლელი ზაზაძეების ჯანმრთელი, დღეგრძელი, ბედნიერი სიცოცხლე. ოჯახის უფროსის ბატონ სიმონ ზაზაძის მზრუნველობამ გადაგვირჩინა ქართული კულტურული მემკვიდრეობის ეს ფასდაუდებელი საუნჯე.

„ღმერთთან ერთად ვიყოთ!“ – ასე იცის ხოლმ? თქმა ბატონმა სიმონმა დამშვიდობების დროს. მართლაც, ღმერთთან ერთად ვიყოთ შინ და გარეთ! უფალი ჰფარავდეს ყველა ქართველს, სრულიად საქართველოს! ჩემო მკითხველო, სტამბოლში როცა ჩაბრძანდებით, ესტუმრეთ ფერიქოიში მდებარე ქართულ ტაძარს, წმიდა ღვთისმშობლის მადლით გამობარსა და გაბრწყინებულს, სადაც მხურვალე გულით ლოცულობენ სხვადასხვა აღმსარებლობის მქონენი–ქრისტიანები, მუსულმანები, იუდეველები... ღვთისმშობელი ყველას მიაჩნია შემწედ და მფარველად. მისი ხატის ქვეშ გაკეთებულ მარმარილოს კვარცხლბეკზე თქვენ წაიკითხავთ ქართულ წარწერას: "მარიამ ღვთისმშობელო, იბერიის ადგილი

მოციქულო, მეოხ მეყავნ ჩვენ, ცოდვილთა ქართველთა". ეს სიტყვები გაგყვებათ ცხოვრების გზაზე და შეგიმსუბუქებს წუთისოფლის სიმძიმეს...

მტრედებისა და ჭივჭავების ზეიმი

„ჩვენებურების ქართულის“ მეორე ტომზე მუშაობა დავიწყე 1996 წლიდან. პირველი წიგნი დაბეჭდა ბატონმა ასლან აბაშიძემ. მან ჰონორარის მაგივრად 500 ცალი წიგნი გადმომცა და მითხრა: – ეს წიგნები გაყიდე და მეორე ტომის მასალები მოაგროვეო. ჩემი ასისტენტის- დოდო ჯაფარიძის (რომელიც ადრე გარდაიცვალა) დახმარებით, მართლაც, გავყიდეთ ეს წიგნები და დავიწყეთ მეორე ტომის მასალების შეგროვება. ქალაქ იზმირში ჩასვლაც კი შევძელით და იქ ჩასახლებული ქართველები მოვინახულეთ. ამ საქმეში დაგვეხმარა მაჭახლიდან სტამბოლში გადასახლებული ქართველი, დიდებული ადამიანი, მწერალი, ისტორიკოსი ჰაიდარ ზენგინი – კორტანიძე. სწორედ მისი ახლობლების დახმარებით ვეწვიეთ ქალაქ ეფესოსთან ახლოს მდებარე წმინდა მარიამ ღვთისმშობლის სალოცავს, რომელსაც მთელი თურქეთის მოსახლეობა საოცნებო ზიარეთად მიიჩნევს და ცნობილია სახელწოდებით „მერიემ ანა ევი“ –დედა მარიამის სახლი“.

მაშინ მოვიარეთ შუა ანატოლიის ბევრი სოფელი და ქალაქი: დუზჯე, გოლიაქა, იზმითი, იზნიქი (ძვ. ნიკეა), გოლჯუქი, საბანჯა, გემლიქი, ყეზელი, ამასია, ესკი– შეჰერი, ერეგლი... დოდო ჯაფარიძის გარდაცვალების შემდეგ, კარგა ხანს აღარ მომეცა საშუალება თურქეთში კვლევა–ძიებისა. ასლან აბაშიძის მეუღლემ, ქალბატონმა მაგული გოგიტიძემ მოინდინა გოგიტიძეთა გვარის ფესვების შესწავლა და მთხოვა ამ საკითხზეც მემუშავა. გოგიტიძეების დიდი წინაპარი სოლომონ გოგიტიძე იყო ყარსის ციხისთავი, ძლიერი ერისთავი, ყარსის მხარის გამგებელი. საჭირო გახდა კვლევითი საქმიანობის წარმართვა არტაანის, ჩილდირის, ერუშეთის, კოლას, ფოცხოვის მხარეებში. ერთი თვის განმავლობაში უნდა მომეგროვებინა ისტორიული მასალა. მეგზურად ავირჩიე ცნობილი მკვლევარი ნუგზარ ცეცხლაძე თავის მეუღლესთან, ქალბატონ გულიკოსთან ერთად. ნუგზარს, მასაც, აინტერესებდა ამ მხარეებში მოგზაურობა. ქალბატონ გულიკოს ამ მხარეებში ნათესავები ჰყავდა და ამიტომაც ძალიან კარგი იყო ჩვენი ერთად წასვლა. მართლაც, მოვიარეთ დასახელებული ადგილები. მე ბევრი მასალა ჩავიწერე და „ჩვენებურების ქართულის“ მეორე ტომში იქნება წარმოდგენილი. ბატონმა ნუგზარმაც გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი. ჩვენ, სამი ადამიანი, ვიყავით ექსპედიციაში ერთი ადამიანისთვის გამოყოფილი თანხით. სულ მივიღე 3000 დოლარი. ამ თანხით ერთი თვე უნდა გვემოგზაურა სამ ადამიანს და დიდ რეგიონში უნდა გვეგროვებინა მასალები. ცეცხლაძეების დაფინანსებაზე თავი შეიკავეს, ჩვენ არ ვიცნობთო. ასე რომ, ძალიან ცოტა თანხით უნდა გვეკეთებინა დიდი საქმე. თანაც ვერ მოვიპოვეთ ვიდეოკამერა და რიგიანი ფოტოაპარატი. მკითხველს გაეცინება ალბათ, მაგრამ უნდა დაიჯეროს, რომ ეს სიმართლეა. ჩავაღწიეთ ეზრუმამდე, დავათვალიერეთ დღემდე შემორჩენილი ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები და დღემდე „ქართველთა კარად“ წოდებული უბანი–„გურჯ ქაფი“. შემდეგ გამოვეშურეთ სამშობლოსაკენ.

საერთოდ, სადაც მივდივარ, ნაკურთხი სანთლები მიმაქვს ხოლმე. ბევრ ადგილას დავანთეთ სანთლები, მაგრამ რამდენიმე ცალი დარჩენილი კიდევ მქონდა. გზად შევიარეთ ოშკის ტაძარში. საღამო ხანი იყო, ქარი ქროდა შენობის შიგნითაც, რადგან ტაძარს კარები აღარა აქვს, უპატრონოდაა მიტოვებული. მოფარებულ ადგილას დავანთეთ ბევრი სანთელი, ვილოცეთ გულიანად და ოშკის მიმდებარე ადგილებს დავუწყეთ დათვალიერება. მაინტერესებდა

ოშკის საგანმანათლებლო კერის–დიდი სასწავლებლის–ნარჩენების ნახვა. სანთლების ანთების დროს ტაძარში შევნიშნეთ სამიოდე მტრედი. ტაძარში რომ მივბრუნდით, გაოცებული დავრჩით. ტაძრის გუმბათი, ტაძრის შიგთავსი სავსე იყო მტრედებით. ზემოთ რომ ვიხედებოდით, ტაძრის გუმბათი მტრედების ფეხებით წითლად მოჩანდა. ეს იყო მტრედების ზეიმი. ცარიელი ტაძარი მტრედების ღუღუნით აგუგუნებულიყო. კარგა ხანს ვუცქირეთ ამ საოცარ სანახაობას. ამასობაში სანთლებიც ჩაქრა. ჩვენ უკან დავბრუნდით, ოშკში კი უამრავი მტრედი ზეიმობდა სანთლის სურნელითა და სითბოთი ტაძრის გაცოცხლებას. გვჯეროდა, რომ ჩვენი დიდი წინაპრების, დიდი ოშკელების სულები ზეიმობდნენ მტრედების სახით. ღვთის შეწევნით, ოშკის ტაძრის რესტავრაცია მალე დაიწყება და ობლად დარჩენილ ტაძარს პატრონი გამოუჩნდება, სანთლები კვლავ ალაპლაპდება ოშკში და კვლავ იზეიმებენ წინაპართა სულები წითელფეხება თეთრი მტრედების სახით ამ ღამაზ ტაძარში.

ის ღამე ტაოს ცენტრში –იუსუფელში – ვეჟანხევები გავათიეთ მასწავლებელთა სახლში და დილით ბათუმისკენ გამოვეშურეთ. მივუახლოვდით ისტორიულ სოფელ მელოს, სადაც გადიოდა სახელმწიფო საზღვარი ბერლინის საზავო ხელშეკრულების მიხედვით. გზის მცველებმა და პოლიციელებმა შეგვაჩერეს: გზა კეთდება, აფეთქებული პატარა ბორცვია და იმას ვასუფთავებთო. ჩვენც მანქანიდან გადმოვედით და ვიცდიდით. მე რამდენიმე სანთელი კიდევ მქონდა. მივიხედ–მოვიხედე და გზის მარჯვენა მხარეს ჭალა დავინახე, ჭალის ერთ კუთხეში კი სამრეკლოს მსგავსი ნაგებობა შევნიშნე. მხლებლებს ვუთხარ, მოდი ეს სანთლებიც იქ დავანთოთ–მეთქი. მივაშურეთ სამრეკლოს. ჭალაში იაპონური ხურმის ხეები იდგა, ფოთოლშეძარცული. 27 ნოემბრის ცივი დღე იყო. ჩავედით ჭალაში, მივედით სამრეკლოსთან. თივით იყო სავსე. გავწიეთ იქით–აქეთ თივა და ავანთეთ სანთელი. პატრონმა გაგვაფრთხილა, სანთლის ჩაქრობამდე იქიდან არ წამოვსულიყავით. მართლაც 10–15 წუთი დავყავით, ვილოცეთ. გამოვბრუნდით და სასწაულის მომსწრენი დავრჩით. ხურმების ტოტები სავსე იყო პატარა–პატარა შავი ჩიტებით–ჭივჭავით. მივუახლოვდით თუ არა, ისინი წამოიშალნენ, ზემოთ აფრინდნენ და დიდი გუნდი შექმნეს. ჩვენ მოვდიოდით, ისინიც მოგვყვებოდნენ გუნდად. იქვე ახლოს ერთი მოსახლე იყო. ყველანი ეზოში გამოვიდნენ და ამ საოცრებას ჩვენთან ერთად შეჰყურებდნენ. ასეთი რამ არასდროს გვინახავსო, ამბობდნენ. უკვირდათ, ამდენი ჩიტი საიდან გაჩნდა აქაო. ჩვენ გზაში რომ ამოვდიოდით, ჩიტების გუნდი მაღლა-მაღლა წავიდა და გაუჩინარდა. ცხადია, აქაც წინაპართა სულების ზეიმს შევხვდით. ვინ იცის, რამდენი ხანია აქ სანთელი არ დაუნთია ვინმეს, რამდენი ხანია არავის ულოცავს ამ არემარეში. მკითხველი ირწმუნებს, რომ ჩვენ, უფლის ნებით, ვნახეთ სულების სიხარული მტრედებისა და ჭივჭავების ზეიმის სახით. როგორც ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი ილია მეორე ბრძანებს: „არსებობს სულთა კავშირი“. ჩვენ რომ გარდაცვლილების სულის მოსახსენებლად ვილოცეთ და სანთლები დავანთეთ, დამყარდა სულთა კავშირი. მადლობის ნიშნად გარდაცვლილი წინაპრის სულები გამოგვეცხადნენ მტრედებისა და ჭივჭავების სახით. მკითხველო, ობლად დარჩენილ ტაძრებშიც დაანთე წმინდა სანთლები!

ღვთის წყალობა

1990 წლის ივნისის ბოლოს სტამბოლიდან მესტუმრა ჩემი ნათესავი ბასრი იავუზი–ფუტკარაძე ცოლშვილთან ერთად. ცოლი–იაშარი, წარმოშობით თურქი, შესანიშნავად ერკვეოდა საქართველოს ისტორიაში. იგი ბავშვობიდან გერმანიაში ცხოვრობდა მშობლებთან ერთად და ევროპულ კულტურას ნაზიარები იყო. მათი ვაჟი–პატარა თენგიზი ორი წლისა იყო, მაგრამ ფეხის ადგმასა და ლაპარაკის დაწყებას აგვიანებდა. ორი–სამი კვირის შემდეგ სტუმრებმა თბილისში წასვლა მოინდომეს. თბილისელ მეგობრებს დავუკავშირდი, დახმარება ვთხოვე, რადგან თბილისი აბობოქრებულ ზღვას ჰგავდა, საბჭოთა კავშირი ინგრეოდა, ქვეყანა არეული იყო. პროფესორ ალექსანდრე ღლონტის ოჯახმა დიდი სიყვარულით მიგვიპატიჟა. ოჯახის დისასახლისი, პროფესორი ქეთევან გოდერძიშვილი, ორი კვირის განმავლობაში თავს გვევლებოდა, კახეთშიც წაგვიყვანა თავისიანებთან და მთელი კახეთის ისტორიული ძეგლები დაგვათვალიერებინა. თბილისში რომ დავბრუნდით, სტუმრებმა მოითხოვეს პატრიარქთან შეხვედრა. მე მაშინ აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დოქტორანტი ვიყავი და დახმარებისთვის ინსტიტუტის დირექციას მივმართე. პროფესორ ბესარიონ ჯორბენაძის დახმარებით, პატრიარქთან შეხვედრა დაინიშნა 1990 წლის 19 აგვისტოს, ფერისცვალების დღეს, რადგან სტუმრებს მონათვლა სურდათ. ჩემ შორეასაც გადაწყვეტილი ჰქონდა მონათვლა, მე კი ვერ ვბედავდი, ვფიქრობდი.

საპატრიარქოს რეზიდენცია მოთავსებული იყო სიონის ტაძართან ახლოს ერთ ორსართულიან ძველებური სტილის შენობაში. ფერისცვალების დღესასწაულზე პატრიარქთან შესახვედრად ბევრი ვინმე იყო მოსული, დიდი რიგი იდგა. ჩემს მხლებლებს მომავალი ნათლიები ამორჩეული ჰყავდათ. მეორე სართულზე ასასვლელ კიბეზე და ეზოში რიგი ნელა მიიწევდა წინ. კიბეზე რომ ავდიოდით, ქეთევან გოდერძიშვილმა მკითხა, –შენ რას აპირებო. ვუპასუხე: – ჩემი წინაპრები–ბებიები, ბაბუები, მამა, ნათესავები მუსულმანური წესით არიან წასული ამ ქვეყნიდან, მათგან მერიდება, ზურგი როგორ შევაქციო, მეშინია, გამზრდელ ბებიას არ ვანწყენინო საფლავში–მეთქი. ქეთევანმა შემახსენა: –შენი ორასი–სამასი წლის წინანდელი წინაპრები რატომ არ გეცოდება, ისინი ქრისტიანები ხომ იყვნენ, ისინიც გელოდებიან, ისინიც მოუთმენლად უცდიან შენს გადაწყვეტილებასო. ამ სიტყვების გაგონებასთან ერთად, უცბად თითქოს თმები ყალყზე დამიდგა, ტანში საოცრად შემაჟრჟოლა. თითქოს თვალწინ წარმომიდგა ჩემი შორეული წინაპრები: თითქოს ვგრძნობდი მათ მზერას, მათ სუნთქვასაც კი, იმ სიცხეში ნელი ნიავის სახით სახეზე რომ მეფერებოდა. გული სიბრალულით ამევსო. მათ სახელზე, ვინ იცის, რამდენი საუკუნეა სანთელიც არ დანთებულა, რამდენი ხანია მათ სახელზე პური არ გატეხილა, შესანდობარი არ დალეულა. ყველაფერი ეს გავითავისე და გადავწყვიტე მოვნათლულიყავი, ამაზე უკეთეს დროს როგორ ვიშოვიდი. ხმა აღარავისთვის გამიცია, ფიქრების მორევში ჩავვარდი... ამასობაში ჩვენი რიგიც დადგა. ჩვენზე წინ მყოფნი პატრიარქთან შედიოდნენ, კურთხევას იღებდნენ და უკან ბრუნდებოდნენ. ჩვენი რიგი რომ მოვიდა, მიგვიწვიეს ერთ დიდ დარბაზში, სადაც ფერიცვალების გრძელი სუფრა იყო გაშლილი. სუფრას უსხდნენ მღვდელმთავრები და რამდენიმე საერო პირი. მათ შორის იყვნენ ცხაკაიას (სენაკის) რაიონის ხელმძღვანელი პირები და სენაკის ხალიჩების ფაბრიკის დირექტორი (გვარი არ მახსოვს). ამ პიროვნებას პატრიარქისათვის საჩუქრად ჩამოეტანა ორი ლამაზი კედლის ნოხი, რომელზედაც ამოქსოვილი იყო ღვთისმშობელი ყრმით. ერთი ასეთი ნოხი უკვე ეკიდა კედელზე, მეორე კი გრაგნილად იდო მის ძირში.

პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ჩვენს გამოჩენას აღფრთოვანებული შეხვდა და საზოგადოებას მიმართა: – აი, ოჯახი ჩამოვიდა სტამბოლიდან ფუტკარაძეებისა, რომელსაც მონათვლა გადაუწყვეტია და მივესალმოთო. დარბაზში ტაში გაისმა. შემდეგ იკითხა: –ბათუმელი ფუტკარაძეები რას ფიქრობთო. –ჩვენც ვინათლებით, თქვენო უწმინდესობავ, ოღონდ მე, თქვენთან მომავალმა, ახლახან კიბეზე ამოსვლისას გადავწყვიტე ეს და ნათლია არა მყავს გამზადებული–მეთქი.–მე ვიქნები თქვენი ოჯახის ნათლია, თქვენი სტუმრებისაც და მასპინძლებისაც; დალოცვილი იყავით ყველანიო. დარბაზში გაისმა ტაშის ხმა.

მიგვიწვიეს ფერისცვალების სუფრაზე. ცოტა ხნის შემდეგ ბავშვი–პატარა თენგიზი სუფრასთან აღარ გაჩერდა, ატირდა. დედამ ბავშვი ხელში აყვანილი (რადგან ვერ დადიოდა) დერეფანში გაიყვანა. დერეფანში მონაზონი დედები შეხვდნენ და გერმანულად ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, ბავშვს ართობდნენ. ცოტა ხნის შემდეგ მხიარული შეძახილები, სიცილი მოგვესმა. კარი გაიღო და პატარა თენგიზი თავისი ფეხით შემობაჯბაჯდა; თან „ბაბა–ბაბა“–„მამა–მამა“ იძახოდა და მამისკენ მიიწევდა. დარბაზში კვლავ იქუხა ტაშმა. ყველანი სასწაულის მომსწრენი გავხდით. პატარა თენგიზმა პატრიარქის დალოცვის შემდეგ ფეხი და ენა ერთად აიდგა. მშობლების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

უწმინდესმა კიდევ დაგვლოცა და მისი ლოცვა–კურთხევით ერთ–ერთ მღვდელმთავარს დაავალა ჩვენი მონათვლა სიონის ტაძარში. მალე გადავედით ტაძარში და მოვინათლეთ. ისევ მოვბრუნდით საპატრიარქოს რეზიდენციაში. უწმინდესმა მონათლულები გულმხურვალედ დაგვლოცა და ბასრი იავუზ–ფუტკარაძის ოჯახს სხვა საჩუქრებთან ერთად გადასცა სენაკის ხალიჩების ფაბრიკიდან ჩამოტანილი ხატი–წმინდა ღვთისმშობელი ყრმით. ეს ულამაზესი ხატი დღესაც ამშვენებს სტამბოლში მცხოვრებ ფუტკარაძეების ოჯახს. ამ ხატს–ღვთაებრივი მადლი, სითბო და ბარაქა შეაქვს მათ ლამაზ ოჯახში. ნოხი–ხატი ამშვენებს მათი ბინის დარბაზს. თენგიზი უკვე 24 წლისაა. მან სტამბოლის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და მუშაობს. დედა სილამაზის სალონს ამუშავებს, მამა კი პენსიონერია.

ცხადია, ჩემმა საქციელმა თავდაპირველად გარკვეული მითქმა–მოთქმა გამოიწვია ნათესავებში, რადგან მაშინ ზემოაჭარიდან თითქმის არავინ, ანდა ძალიან ცოტა თუ ინათლებოდა. საზოგადოება ჯერ კიდევ ათეიზმის ტყვეობაში იყო. უფლის ნებით, მომდევნო წლებში მონათლულთა რაოდენობამ იმატა და ამჟამად საკმაოდ მრავალრიცხოვანი მრევლია ზემო აჭარაში. ჩემი დედმამიშვილების ოჯახების უმეტესობა მონათლულია. მე უკვე რვა ნათლული მყავს.

ნათლობის შემდეგ კარგა ხანს ვეღარ მოვახერხე უწმინდესთან–ნათლიასთან შეხვედრა, მაგრამ მისმა ლოცვა–კურთხევამ მეცნიერებისკენ მიმავალი გზა გამიადვილა და გამინათა. 1989–1992 წლებში თურქეთის სხვადასხვა მხარეში დიდი რუდუნებით ნაგროვები მასალა უკვე ხელთ მქონდა, მაგრამ არ ვიცოდი, წიგნად როგორ მექცია, როგორ დამელაგებინა. ერთი წელი მოვუნდი თითქმის ამაზე ფიქრს, რადგან მსგავსი წიგნი არ არსებობდა, რომ მიმებაძა, მიმემსგავსებინა. მონათვლის შემდეგ გონება გამეხსნა. რვა თვის განმავლობაში თბილისის ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიღებული ინფორმაციით შევძელი გარკვეულ ჩარჩოებში მომექცია ისტორიული ტაოს, კლარჯეთის, შავშეთის ისტორიულ–გეოგრაფიული გარემო და დამეწერა მოპოვებული ტექსტებისთვის შესაბამისი შესავალი წერილები. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არ შეიძლებოდა პირდაპირ დამესათაურებინა ესა თუ იმ რეგიონი, კერძოდ: ისტორიული ტაო, ისტორიული შავშეთ–კლარჯეთი. ასე დასათაურებას შეიძლება მოჰყოლოდა პოლიტიკური გაუგებრობა.ამიტომ ეს სათაურები „შევფუთე“. ისტორიული შავშეთ–კლარჯეთის თავს დავარქვი „ნაშთი ძველი დიდებისა“ ოპიზარებისა და მტბევარების ნაკვალევზე“; ისტორიული ტაო კი ასე დავასათაურე: „იშხნელებისა და ოშკელების სამშობლოში“. დღევანდელი მკითხველი შეიძლება ვერც კი ჩასწვდეს ამის დედაარზს, ისე შეიცვალა მას შემდეგ ჩვენს ირგვლივ არსებული ქვეყნების საზოგადოებრივ–პოლიტიკური ვითარება, მეზობლური ურთიერთობა. 1993 წლის დამდეგამდე ჩემი მთქმელები–ინფორმატორები ვერ ბედავდნენ თავიანთი გვარების წიგნში გამჟღავნებას. მთხოვდნენ, თავიანთ მონათხრობზე არ მიმეთითებინა მათი სახელი და გვარი. 1993 წლის დამდეგს მათ შემატყობინეს თავიანთი თანხმობა ამ საკითხზე და მეც გაბედულად მივაწერე ყველა მონათხრობს მათი სახელი და გვარი. წიგნის გამოქვეყნება ამიტომაც დაგვიანდა.

წიგნის გამოქვეყნება ითავა ასლან აბაშიძემ. მაშინ საქართველოში მძიმე ვითარება იყო, უშუქობა, უწყლობა, ეკონომიური სიდუხჭირე. სტამბა არ მუშაობდა. იბეჭდებოდა მხოლოდ გაზეთი „აჭარა“. მხოლოდ ამ გაზეთის რედაქციას გააჩნდა გამართული კომპიუტერი. სწორედ აქ აეწყო „ჩვენებურების ქართულის“ პირველი ტომი. განსაკუთრებული მადლიერებით მინდა გავიხსენო გაზეთის რედაქციის თანამშრომლების – ზაზა ფალავანდიშვილის, ავთანდილ ვადაჭკორიას, ამირან კაკაძის და სხვათა თანადგომა და გულისხმიერი დამოკიდებულება. წიგნი დაიბეჭდა ქ. კიევში. განსაკუთრებით დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი ნათესავების–ბატონ ანზორ გოგიტიძის ვაჟის, ავთანდილ გოგიტიძის მიმართ, რომელმაც კიევში წაიღო წიგნის მაკეტი. სასტამბო საქმე, დაბეჭდილი წიგნების ბათუმში ჩამოტანა მანვე უზრუნველყო. იგი მაშინ კიევის უნივერსიტეტის სტუდენტი იყო.

„ჩვენებურების ქართულის“ გამოქვეყნებას ფართოდ გამოეხმაურა ქართული საზოგადოებრიობა, იმართებოდა წიგნის განხილვები, ავტორთან შეხვედრები, იბეჭდებოდა შეფასებები. განსაკუთრებით აღსანიშნავია პროფესორების–ალექსანდრე ღლონტის, მიხეილ სვანიძის, დევი სტურუას, მიხეილ მახარაძის, რამაზ სურმანიძის, ფრიდონ სიხარულიძის, აბელ სურგულაძის, იური ბიბილეიშვილის და სხვათა წერილები. ისინი დაბეჭდილია ადგილობრივ და რესპუბლიკურ ჟურნალ–გაზეთებში. პოეტებმა მიძღვნეს ლექსები. მათ შორის პატრიოტული სულისკვეთებითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა ამირან ხაბაზის, ცისანა ანთაძის, ბელა ქებურიას, იაშა თანდილავას პოეტური სტრიქონები.

„ჩვენებურების ქართულის“ ტექსტზე დაკვირვებით შეიქმნა ჩემი სადოქტორო დისერტაცია „ქართული ენის სამხრულ–დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო–კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით“. იმერხევში, ტაოში, ზედა მაჭახელში და ნიგალის ხევში მოპოვებულ მასალაზე დაკვირვების შედეგად, გამოვყავი ოთხი ახალი დიალექტი: იმერხეული, ნიგალური (ანუ ლივანური), მაჭახლური და ტაოური. ეს დიალექტები ერთმანეთთან სიახლოვისა და მსგავსების მიხედვით გავაერთიანე ერთ დიალექტურ ჯგუფში და ვუწოდე „ტაო–კლარჯული დიალექტები“. ქართულმა საენათმეცნიერო საზოგადოებამ ჩემი თვალსაზრისი გაიზიარა.

საპატრიარქოდან შეტყობინების თანახმად, ჩემს ძვირფას ნათლია–უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორეს ვესტუმრე. მას მოვახსენე, რომ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბიბლიოთეკის აღწერას მთხოვდა მისი მეპატრონე და მზრუნველი ბატონი სიმონ ზაზაძე. ამ საქმისთვის ვითხოვე მისგან ლოცვა–კურთხევა. უწმინდესმა გაიხსენა 1977 წლს მისი სტუმრობის ეპიზოდები აღნიშნულ მონასტერში და შეხვედრები მაშინ მონასტრის ჯერ კიდევ ცოცხალ სასულიერო პირებთან. მან დამლოცა, სათუთად შეავლო ხელი „ჩვენებურების ქართულს“ და განაცხადა იქ მყოფთა წინაშე, რომ ტაო–კლარჯეთისა და აჭარის მოსახლეობამ დაამტკიცა ქართული ენის უკვდავება, მისი გამძლეობა, ჭირთა შიგან გაუტეხლობა. უწმინდესმა დალოცა იქაური დედები, რომლებიც დედის რძესთან ერთად დედა-ენის სიყვარულით აკვანშივე კვებავდნენ ქართველთა ბავშვებს, ქართულ ძირძველ მიწაზე აცოცხლებდნენ ქართველობას. მეც დამლოცა ამ წიგნის შექმნისთვის; აღნიშნა, რომ ამ წიგნმა ქართველობას გაუცოცხლა ისტორიული სამშობლოს მიწა–წყალი, ყველას აჩვენა მისი ისტორიული საზღვრები, გაგვიფართოვა ჩვენი ისტორიული მეხსიერება. ამ წიგნმა შემოსაზღვრა ქართული ენის გავრცელების არეალი, შემოავლო საზღვარი და ყველას აჩვენა ჩვენი დედა-ენის სიმტკიცე და გამძლეობა.

„ჩვენებურების ქართული“ მაჩვენებელია იმისა, რომ ოთხას წელზე მეტი ხნის მანძილზე უცხო ენობრივ გარემოცვაში მოქცეულმა ქართულმა შეინარჩუნა თავისთავადობა–თავისი ბგერითი სისტემა, გრამატიკული წყობა, ძირითადი ლექსიკური ფონდი.

ეს იყო მეტად ამაღელვებელი წუთები ჩემთვის... პატრიარქმა ერთხელ კიდევ დალოცა ქართველთა ისტორიული სამშობლო, ყველა ქართველი და მარჯვენა ხელზე თავისი ხელით სამახსოვრო ბეჭედი გამიკეთა. მან აღნიშნა: – ეს ბეჭედი დამზადებულია საპატრიარქოს ზარაფხანაში სპეციალურად ამ წიგნის ავტორისათვის, იმ ხელისთვის, რომელმაც 720 გვერდიანი წიგნი აჩუქა ქართველობას საზღვარგარეთ დარჩენილი ქართულის უკვდავსაყოფადო. კერძო საუბარში ხმადაბლა მითხრა: – გავიგე, ჩიტმა ამბავი მომიტანა, ძალიან გულმოწყალე ყოფილხარ, სიმდიდრე, ფუფუნება არ გყვარებია, გაცემა გყვარებია... გახსოვდეს, ეს ბეჭედი არ გასცე, არავის აჩუქო, შეიძლება ბევრ ვინმეს მოეწონოს, მაგრამ შენთვის დაიტოვე. შენიანებს ანდერძი დაუტოვე, ასი წლის შემდეგ, როცა ამ ქვეყნად აღარ იქნები, საეკლესიო მუზეუმს ჩააბარონო.

ბეჭედი ოქროსია, შიგ ჩასმულია მთის ბროლის მოზრდილი თვალი, ორი პატარა თვალი ზურმუხტისაა, ორიც ამეთვისტოა. თვლების განლაგება ქმნის ჯვრის გამოსახულებას. ეს შეხვედრა იყო 1996 წლის მარტში. 17 წელია ამ ბეჭედს ვატარებ. იგია ჩემი ავგაროზი, მფარველი. 2008 წლის 22 ივლისს ჩვენი უნივერსიტეტის წინ ავტოკატასტროფაში მოვხვდი. ყველას უკვირს ჩემი გადარჩენა, დაჟეჟილი სხეულის მარჯვენა მხარე სულ შავი და ჭრილობებით სავსე მქონდა, ერთი ჭრილობა საფეთქელზეც იყო, მაგრამ ძვალი არსად გამტეხია, მიუხედავად იმისა, რომ მანქანამ ჰაერში ამისროლა და ასფალტზე დავეცი მკვდარი ჩიტივით. მადლობა უფალს, რომ ხეიბარი არ დავრჩი, ანდა ფსიქოლოგიურად მოშლილი. გადავრჩი უფლის წყალობით, ნაჩუქარი ბეჭდის მადლით. ჩემმა მოძღვარმა- მამა სერაფიმემ ეს უბედური შემთხვევა ხუმრობით ასე ახსნა: – ჩემო შუშანიკ, ალბათ რაღაც ცოდვები გქონდა ცხოვრებაში, ღმერთმა ამქვეყნად ცოტა შემოგილაწუნა, რომ საიქიოში შეგიმსუბუქდეს მდგომარეობაო... მადლობა უფალს!

2012 წლის 5 დეკემბერს ჩემმა მშობლიურმა უნივერსიტეტმა იუბილე გადამიხადა. ჩამოვიდა ბევრი სტუმარი თბილისიდან, ქუთაისიდან, თურქეთიდან, ირანიდან. მოლოცვებიც ბევრი იყო. მათ შორის ძალიან გამახარა ჩემი ნათლიის – უწმინდესისა და უნეტარესის მოლოცვამ, თან შემომითვალა, პირადად მნახოსო. მართლაც, საპატრიარქომ 2013 წლის 6 იანვარს ღამის 3 საათზე მიმიწვია საშობაო ვახშამზე. პატრიარქმა სამების ტაძარში 6 იანვრის ღამის 12 საათზე წირვა დაიწყო. წირვის პროცესი ღამის სამ საათამდე გაგრძელდა. წირვის შემდეგ პატრიარქი მობრძანდა საპატრიარქოში. სტუმრად მოწვეული იყვნენ თბილისის მოწინავე საზოგადოების წარმომადგენლები, პოლიტიკოსები, მწერლები, პოეტები, ახალი და ძველი მთავრობის წევრები, მგალობლები, მომღერლები. საშობაო ვახშამზე უფლება მომეცა უწმინდესისათვის მიმელოცა დაბადებიდან 80 წელი და აღსაყდრების 35 წლისთავი. საჩუქრად გადავეცი ჩემი ახალი წიგნები –„სტამბოლის ქართული სავანე“ და „ISTANBUL GЬRCЬ OCA?I“, აგრეთვე, თურქი ისტორიკოსის, წარმოშობით იმერხეველი ქართველის, მურათ ქასაბის სქელტანიანი წიგნი „ოსმალეთის ქართველები“, სამაგიეროდ, საჩუქრად მივიღე უწმინდესის ეპისტოლეების სრული კრებული. გადავიღეთ სამახსოვრო სურათები უწმინდესთან, მწერალ გურამ დოჩანაშვილთან და სხვებთან. 2013 წლის შობის ღამე დაუვიწყარი იქნება. ამ ღამის მადლი მომცემს ძალას და შემაძლებინებს „ჩვენებურების ქართულის“ მეორე ტომის დასრულებას. ამით კი ერთხელ კიდევ გავახარებ ჩემი ძვირფასი ნათლიის, ქართველი ერის სულიერი მოძღვრის, დიდი სასულიერო მოღვაწისა და მოაზროვნის სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესისა-ილია მეორის სამშობლოს სიყვარულით მხურვალე გულს.

სტუდენტური დღეები

სტუდენტური დღეები

„სტუდენტური დღეები 2013 ნარკომანიის წინააღმდეგ" განრიგი:

15 აპრილი, 11:00 საათი - ბოულინგი (თბილისი ცენტრალი);

16 აპრილი, 11:00 საათი - მკლავჭიდი (სპორტული კომპლექსი არენა);

22 აპრილი,11:00 საათი - ბილიარდი (თბილისი ცენტრალი);

25 აპრილი, 17:00 საათი - პარაკალათბურთი (საკალათბურთო აკადემიის დარბაზი);

26 აპრილი, 11: საათი - ფრენბურთი (კუს ტბა);

26 აპრილი, 18:00 საათი - თეატრალური დადგმები, იუმორისტული სკეტჩებისა და ორიგინალური ნომრების კონკურსის I ტური(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის სააქტო დარბაზი);

28 აპრილი, 18:00 საათი - თანამედროვე და ხალხური სიმღერის კონკურსის I ტური(თბილისისსახელმწიფოსამედიცინოუნივერსიტეტის „წითელიდარბაზი");

30 აპრილი,12:00 საათი - რა? სად? როდის? (საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი);

1 მაისი,18:00 საათი - ხალხური და თანამედროვე ცეკვის კონკურსის I ტური (ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი)

10 მაისი, 11 საათი - სტრატეგიული თამაში „აღმოაჩინე შენი ქალაქი" ე.წ. ჩიტყ გამე(ძველი თბილისის მიმდებარე ტერიტორია);

11 მაისი, 18:00 საათი - ხალხური და თანამედროვე ცეკვების კონკურსის მეორე ტური (თელავის ვაჟა ფშაველას სახელობის სახელმწიფო თეატრი);

12 მაისი, 12:00 საათი - პეინტბოლი (წყნეთის პეინტბოლის კლუბი);

14 მაისი, 14:00 საათი - ორატორული ხელოვნების კონკურსი (საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზი);

15 მაისი, 18:00 საათი - თეატრალური დადგმების, იუმორისტული სკეტჩებისა და ორიგინალური ნომრების კონკურსის II ტური(ქ. წყალტუბოს საკონცერტო დარბაზი „ივერია")

16 მაისი, 15:00 საათი - ხალხური თამაშობების ფესტივალი (ვაკის პარკი);

17 მაისი, 18:00 სათი - მუსიკალური ბენდების კონკურსი (ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი);

18 მაისი, 14:00 საათი - დებატები (საქართველოს უნივერსიტეტის აუდიტორია #701)

19 მაისი, 12:00 საათი - წყალბურთი (ლაგუნა ვერეს საცურაო აუზი);

20 მაისი, 14:00 საათი - მეკლდეურობა (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის ეზო);

21 მაისი, 18:00საათი - ხალხური და თანამედროვე სიმღერების კონკურსის II ტური(ბათუმის ხელოვნებისა და მუსიკის ცენტრი)

24 მაისი, 19:00 საათი - სტუდენტური დღეების დახურვა, ფოტო და ნახატების გამოფენა (ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი);

შეხვედრა სასტუმრო „SHERATON BATUMI"-ის წარმომადგენლებთან

სააქტო დარბაზში სასტუმრო „SHERATON BATUMI"-ის წარმომადგენლებმა შეხვედრა გამართეს ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან. ადამიანური რესურსების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ახალგაზრდებს სასტუმროში არსებული ვაკანსიები, სტაჟირების პირობები და 2013 წლის საზაფხულო სტუდენტური დასაქმების სიახლეები წარუდგინა. ასევე შედგა კომპანია „STARWOOD"- ისა და სასტუმრო „SHERATON BATUMI"-ის პრეზენტაცია. სტუდენტები სასტუმროში არსებულ სტანდარტებს, საერთაშორისო მოთხოვნებს, საფასო პოლიტიკასა და განვითარების სტრატეგიას გაეცნენ. სასტუმრო „SHERATON"-ში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის 30-მდე სტუდენტია დასაქმებული.

რევაზ დიასამიძე 70 წლისაა

რევაზ დიასამიძე დაიბადა 1943 წელს ქ. ბათუმში. დაამთავრა

შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტი ბიოლოგიის სპეციალობით. 1969 წლიდან, ინსიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობს თევზის მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს განყოფილებაში ჯერ უმცროსი, ხოლო შემდეგ უფროსი მეცნიერ-მუშაკის თანამდებობებზე, 1998 წლიდან ზღვის ბიორესურსებისა და მარაგის ლაბორატორიის გამგედ.

რ. დიასამიძე აქტიურად მონაწილეობს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და შიდა წყლების ჰიდრობიოლოგიურ კვლევებში, რომელთა შორის მნიშვნელოვანია მიდიების ბიოლოგიის შესწავლა და მათი კულტივირების ტექნოლოგიის შემუშავება. ამ სამუშაოების წარმატებით განხორციელების შემდეგ, პირველად საქართველოში რ. დიასამიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა მიდიების საცდელი ფერმა - მარიმეურნეობა (გონიო-კვარიათი). ამ სფეროში მიღებული შედეგები და დაგროვილი გამოცდილება დაედო საფუძვლად მის სადისერტაციო ნაშრომს: „შავი ზღვის კულტივირებადი მიდიების ენერგეტიკული ცვლა, კვება და ზრდა–განვითარების დინამიკა."

შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და შენარჩუნების მიზნით რ. დიასამიძე, როგორც მენეჯერ–ჰიდრობიოლოგი, მონაწილეობას ღებულობს სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში, კონფერენციისა და სიმპოზიუმების მუშაობაში. არის შავი ზღვის დაცვის საერთაშორისო კომისიის წევრი. გამოქვეყნებული აქვს 50–მდე სამეცნიერო ნაშრომი. მიუხედავად მოკრძალებული ასაკისა, იგი დღესაც აქტიურად მონაწილეობს საზღვაო თუ შიდა წყალსატევებზე ქართველ და უცხოელ მეცნიერებთან ერთად მოწყობილ სხვადასხვა ექსპედიციაში.

1991 წლიდან დღემდე რ.დიასამიძე სამეცნიერო მუშაობის პარალელურად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და თავისი წვლილი შეაქვს ახალგაზრდა კადრების მომზადებაში ჰიდრობიოლოგიის მიმართულებით.

რ. დიასამიძე სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით. არის ობიექტური, უკონფლიქტო, თანაზიარია საქვეყნო პრობლემების მიმართ. კეთილი ბუნება მას გენეტიკურად მოსდგამს.

მიმდინარე წლის მარტის თვეში ბატონ რევაზს 70 წელი შეუსრულდა. ბიოლოგიის დეპარტამენტის თანამშრომლებისა და ბიოლოგია-ეკოლოგიის სპეციალობის სტუდენტი ახალგაზრდობის სახელით, ვულოცავთ მას ამ ლამაზ იუბილეს, ვუსურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს და ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ახალგაზრდა კადრების აღზრდის საქმეში.

ბიოლოგიის დოქტორი
ე.მიქაშავიძე
ბიოლოგიის დეპარტამენტის
ხელმძღვანელი,
პროფესორი დ. ბარათაშვილი

რევაზ დიასამიძე - 65



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველს, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატს, რევაზ დიასამიძეს, დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.

რევაზ დიასამიძემ აქტიური და საინტერესო ცხოვრების გზა განვლო.

იგი დაიბადა 1948 წლის 16 აპრილს ჯემალ დიასამიძის მრავალშვილიან ოჯახში, ანგისის დასახლებაში. 1955 წლიდან 1963 წლამდე რევაზ დიასამიძე სწავლობდა ანგისის რუსულ რვაწლიან სკოლაში. 1963 წლიდან იგი გადავიდა ბათუმის ?7 საშუალო სკოლაში, რომელიც 1966 წელს წარჩინებით დაამთავრა და ამავე წლიდან შეუდგა შრომით საქმიანობას. 1967-1969 წლებში იმყოფებოდა სამხედრო არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ, წიგნისა და სწავლის სიყვარულით იგი წავიდა მოსკოვში და 1970 წელს ჩაირიცხა მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის მოსამზადებელ განყოფილებაზე. 1971 წელს კი გახდა ცნობილი უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი. მისთვის ძვირფასია ამ უნივერსიტეტში გატარებული წლები. 1976 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და ჩაირიცხა ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურაში, რომელიც 1979 წელს წარჩინებით დაასრულა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1980 წლიდან რევაზ დიასამიძე დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში და დაიწყო მუშაობა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში.

პედაგოგიურ ინსტიტუტში (ამჟამად უნივერსიტეტში) რევაზ დიასამიძემ ლაბორანტობიდან დაიწყო მუშაობა და თავისი ცოდნით, ენერგიული მუშაობით განვლო საინტერესო გზა, იგი იყო ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, ინსტიტუტის პრორექტორი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, სსრ კავშირის ისტორიის კათედრის გამგე, მსოფლიო ისტორიის კათედრის გამგე, უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ-აღმზრდელობითი მუშაობის განყოფილების უფროსი, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი და ამჟამად რექტორის მრჩეველი.

თანამდებობრივ მოღვაწეობასთან ერთად იგი კითხულობდა ლექციების კურსს სსრკ ხალხთა ისტორიაში, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალ და უახლეს ისტორიაში, საერთაშორისო ურთიერთობათა ისტორიაში, რუსეთის ისტორიაში და სხვა საგნებში, ასევე ატარებდა სემინარებსა და სპეცკურსებს. სტუდენტებს აცნობდა მსოფლიოში მიმდინარე სიახლეთა თავისებურებებს და მათგან ითხოვდა ანალიზს. მისდამი განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს ამჟღავნებენ ისტორიის, რუსული ფილოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობისა და დიპლომატიის, ჟურნალისტიკის, თურქეთისმცოდნეობის სპეციალობის სტუდენტები. ბატონი რევაზი თავდაუზოგავი დამცველია ახალგაზრდობის, პირადი მდიდარი ბიბლიოთეკის გამოყენებით ასწავლის წიგნზე დამოუკიდებელ მუშაობას.

რევაზ დიასამიძე 1995-1999 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატი და ადამიანის უფლებათა დაცვის ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

რევაზ დიასამიძის ცხოვრების კრედო და საშვილიშვილო მოწოდებაა - ,,ყველაფერი სხვისთვის და არაფერი თავისთვის". იგი დაუზარელი შემსრულებელია ყოველგვარი დავალების, განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მთარგმნელობითი მუშაობა, რადგანაც ბრწყინვალედ ფლობს რუსულ და ქართულ ენებს. რევაზ დიასამიძის მთარგმნელობითი მოღვაწეობიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსული ენიდან თარგმნილი პროფესორ ა.ა. გორელოვის წიგნი ,,ეკოლოგია" (სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლებისათვის), რომელიც გამოიცა 2011 წელს. დიდი მუშაობა გასწია აგრეთვე მსოფლიო დონის მეცნიერის ნიკო მარის ,,შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურების" თარგმნაზე, რომლის ქართულ ენაზე გამოცემას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ის დღესაც აქტიურად არის ჩაბმული სხვადასხვა სახის მთარგმნელობით საქმიანობაში.

ამჟამად იუბილარი თავისი ცხოვრების შუაგულში იმყოფება. მას დიდი გეგმები აქვს დასახული, ამიტომ ვუსურვოთ მას ჯანმრთელობა, ხანგრძლივი სიცოცხლე და ახალ-ახალი წარმატებები.

რსუ-ს ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტის შესახებ

გამოქვეყნდა მეცნიერთა საინიციატივო ჯგუფის (ხელმძღვანელი გია დვალი) მიერ შემუშავებული უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების რეფორმის კონცეფციის პროექტი.

ქვემოთ ჩვენ მოკლედ დავალაგებთ აპ პროექტის ძირითად შინაარსს და გზადაგზა გამოვთქვამთ ჩვენს მოსაზრებებსაც ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით.

პროექტის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ფუნდამენტური რეფორმა მსოფლიო სტანდარტის მქონე კონცეფციების შესაბამისად.

საუნივერსიტეტო-სამეცნიერო სისტემაში ეს კონცეფცია მოიცავს აკადემიური თავისუფლების, აკადემიური მიუკერძოებლობის და აკადემიური ხარისხის ცნებებს, რომლებიც ეფუძნება მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებში კარგად აპრობირებულ ტენუარის სისტემას და მეცნიერული კვლევების მოწყობის ჰარნაკის პრინციპს.

ტენუარის სისტემაში ყველაზე წარმატებული პროფესორები ღებულობენ ტენუარის სტატუსს (ტენურე (ინგლ.) ფლობას ნიშნავს, ტენუარი - მუდმივ პროფესორს). ტენუარის საერთო პრინციპი მოქმედებს უნივერსიტეტთან ან მისგან დამოუკიდებლად არსებულ საინსტიტუტო (სამეცნიერო-კვლევით) სისტემაშიც. რაც შეეხება მეცნიერული კვლევის ორგანიზების ჰარნაკის პრინციპს (ჰარნაკი გერმანელი მეცნიერის გვარია), მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სამეცნიერო ინსტიტუტები ფაქტობრივად ყველაზე წარ¬ჩინებული მკვლევარების გარშემო აწყობილი სტრუქტურებია. ინსტიტუტი ემსახურება მკვლევარის სამეცნიერო მიზნებს.

საუნივერსიტეტო და საინსტიტუტო (კვლევითი) სისტემის ფუნქციონირება, კონცეფციის პროექტის მიხედვით, დაფუძნებულია სამ მუდმივმოქმედ რგოლზე: 1) ტენუირებულ პროფესორ-მკვლევართა კრება; 2) უნივერსიტეტის ან ინსტიტუტის უმაღლესი ადმინისტრაცია (პრეზიდენტი, რექტორი...); 3) გარეშე რწმუნებულთა ან მრჩეველთა საბჭო.

პროექტის მეორე თავში (პარაგრაფში) ლაპარაკია საუნივერსიტეტო განათლების მიზნებსა და პრინციპებზე. აღნიშნულია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის მისია არის ცოდნის მოპოვება და გაძლიერება, რომლის მაქსიმალური ეფექტიანობის¬თვის აუცილებელია უნივერსიტეტი იყოს არამარტო საგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიც. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეს ასეც იყო. ჩვენი დედა უნივერსიტეტის წიაღში აღმოცენებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემია სრულიადაც არ აკნინებდა და არ აკნინებს საუნივერსიტეტო განათლებას და მეცნიერებას. ეს ფაქტია. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რაღაც უნდა შეიცვალოს ამ სფეროში.

უნივერსიტეტის ძირითად ფუნქციებთან დაკავშირებით, პროექტში აღნიშნულია, რომ იგი ასრულებს ორ ასეთ ფუნქციას: 1) უზრუნველყოფს პროფესიონალიზმს და მაღალი დონის განათლებას; 2) წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების საყრდენს.

ვფიქრობთ, ფუნქციების ჩამონათვალშივე საჭირო იყო კიდევ ერთხელ იმის ხაზგასმაც, რომ უნივერსიტეტი ასრულებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრის ფუნქციასაც, ე.ი. არა ორ, არამედ სამ ფუნქციას. ეს აუცილებელი იყო მით უფრო, რომ პროექტში კარგადაა განმარტებული, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საუნივერსიტეტო მეცნიერებას თვით პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტთა საუნივერსიტეტო განათლებისათვის.

პროექტის მიხედვით, უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემა დაფუძნებულია სამ პრინციპზე. ესენია: აკადემიური თავისუფლება, აკადემიური მიუკერძოებლობა და აკადემიური ხარისხი. ამ პრინციპებმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესორ-მასწავლებ¬ლი იყოს თავისუფალი შემოქმედი პიროვნება, რომელსაც ვერავინ დააშინებს ან მოისყიდის და რომელიც მოტივირებულია ჰქონდეს მაღალი აკადემიური ხარისხი. მიგვაჩნია, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაა, ვინაიდან საბჭოთა პერიოდში ამ პრინციპების რეალიზება ყოველთვის როდი იყო შესაძლებელი. ახლა კი ეს გამორიცხული იქნება, რადგანაც აღნიშნულ პრინციპებს დაიცავს ტენუარის სისტემა.

პროექტში დახასიათებულია სამივე პრინციპი, რომელთაგან აკადემიური ხარისხის დახასიათება, ჩვენი აზრით, აუცილებელ შევსებას მოითხოვს. საქმე ისაა, რომ უნივერსიტეტის მთავარ საზრუნავად გამოცხადებულია მაღალი ხარისხის პროფესორ-მასწავლებლების მოზიდვა და მათი შენარჩუნება სათანადო პირობების შექმნის გზით, რაც რამდენჯერმე მეორდება პროექტის ტექსტში. არც აქ და არც სხვაგან არაფერია ნათქვამი ასეთი პროფესორ-მასწავლებლების აღზრდაზე. ისმება კითხვა: თუ ყველა უნივერსიტეტი აქცენტს გააკეთებს კარგი პროფესორ-მასწავლებლების გარედან მოზიდვაზე და არ იზრუნებს უნივერსიტეტშივე მათ აღზრდა-ჩამოყალიბებაზე, საიდან მოიზიდავ მათ? ასეთი პოზიცია ტაქტიკური თვალსაზრისით შეიძლება გამართლებული იყოს, მაგრამ სტრატეგიულად, შორეული პერსპექტივის გათვალისწინებით ხომ წამგებიანი იქნებოდა ქვეყნისთვისაც და მეცნიერებისთვისაც? ვფიქრობ, აკადემიური ხარისხის პრინციპის დახასიათებისას ამ გარემოებასაც უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება.

რაც შეეხება ტენუარის სისტემას, იგი აღიარებულია უნივერსიტეტის მოწყობის მთავარ პრინციპად. ტენუარის კონცეფციის თანახმად, უნივერსიტეტის თვითმმართველ ბირთვს წარმოადგენს მუდმივი თანამდებობის მქონე ტენუირებული პროფესორები და ტენუარის სტატუსის მიღების გზაზე მყოფი პროფესორები (ტენუარობის კანდიდატები). ასეთ საწყის პოზიციას ასისტენტ-პროფესორის დონე წარმოადგენს. ტენუირებული და ტენუარის გზაზე მყოფი პროფესორები აკადემიური პერსონალის მხოლოდ ერთი (ყველაზე წარჩინებული) ნაწილია, მაგრამ ისინი ქმნიან მაღალი აკადემიური სისტემის სტაბილურობისა და ეფექტურობის გარანტიას და წარ¬მოადგენენ უნივერსიტეტის საყრდენს.

ტენუარის ცნება არ გულისხმობს უბრალოდ მუდმივ კონტრაქტს. ტენუირებულ პოზიციაზე პროფესორის აყვანა ხდება როგორც პირდაპირ, ისე საცდელი ვადის (5-7 წელი) შემდეგ. ვფიქრობთ, ეს ვადა საკმაოდ დიდია, მაგრამ თუ გამართლებულია მისი, ვთქვათ, 5 წლიანი აუცილებლობა, მაშინ ტენუარის სტატუსის მქონე პროფესორები თავიანთ პოზიციას ხელახალი ექსპერტიზის გარეშე უნდა ინარჩუნებდნენ სულ ცოტა 10 წელი მაინც.

პირდაპირ ტენუირებული და ტენუარის გზაზე მყოფი პროფესორის თანამდებობაზე მიღება უაღრესად კრიტიკული შერჩევის შედეგად ხდება. კანდიდატის შერჩევას აწარმოებს სპეციალური მიუკერძოებელი კომისია, რომელიც შეფასებაში ეყრდნობა როგორც საკუთარ ექსპერტიზას, ასევე გარეშე რეფერირების სისტემას. ამ უკანასკნელში იგულისხმება მსოფლიო მასშტაბით შერჩეულ ცნობილ მეცნიერთა გარკვეული რაოდენობის კონფიდენციალური გამოკითხვა (სასურველი იყო ამ რაოდენობის ჩვენებაც - ნ.ბ.) და კანდიდატის წერილობითი დახასიათება. ასეთი ექსპერტიზის შედეგად იქმნება კანდიდატთა სია. მთელი ეს მასალა შემდეგ წარედგინება დეპარტამენტის ან ფაკულტეტის ტენუირებული პროფესორების კრებას, იწყება მსჯელობა და საუკეთესო კანდიდატი შეირჩევა კენჭისყრით (არაა ნაჩვენები ღია თუ ფარული კენჭისყრით).

თუ საწყისი პოზიცია ტენუარის გზაა, საცდელი ვადის განმავლობაში უნდა დადგინდეს, თუ რამდენად პროგრესირებს კანდიდატი ტენუარის მიმართულებით. ამას აკეთებს ე.წ. ტენუარის შეფასების კომისია, რომელიც შედგება სამი ტენუირებული პროფესორისაგან და რომელსაც ირჩევს დეპარტამენტის ან ფაკულტეტის პროფესორთა კრება. კომისია სწავლობს საკითხს, აგროვებს რეცენზიებს შესაბამისი დარგის მსოფლიო ექსპერტებისაგან, ასევე ითხოვს კანდიდატის მოღვაწეობის შეფასებას სტუდენტების ან კოლეგების მიერ. ბოლოს მთელი ეს მასალა შესაბამისი რეკომენდაციით წარედგინება ზემოაღნიშნულ ტენურირებულ პროფესორთა კრებას.

კრება, სათანადო მსჯელობისა და კენჭისყრის საფუძველზე, ღებულობს გადაწყვეტილებას, რომელიც ეგზავნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და უნივერსიტეტის ცენტრალურ ტენუარების კომიტეტს. საკითხის ამ ეტაპზე განხილვისა და დადებითი პასუხის შემთხვევაში, კანდიდატს ენიჭება ტენუარის სტატუსი.

საგულისხმოა, რომ პროექტის მიხედვით ტენუარის გზაზე მყოფი კანდიდატის შეფასება (ანუ საკითხის დეპარტამენტის შიგნით განხილვა) შეიძლება მოხდეს ორჯერ, მაგალითად მე–3 და მე–5 წელს. პირველადი შეფასება აჯამებს, თუ რამდენად პროგრესირებს კანდიდატი ტენუარის სტატუსისაკენ და შეიძლება ჩათვალოს, რომ პროგრესი აშკარაა და რეკომენდაცია გაუწიოს ტენუარის სტატუსის დაჩქარებული მინიჭებისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უარყოფითი შეფასება არ გულისხმობს გარანტირებული (5 ან 7 წლიანი) პოზიციის ნაადრევ შეწყვეტას. იგი მიანიშნებს კანდიდატს, რომ მიზნის მისაღწევად საჭიროა სიტუაციის რადიკალურად შეცვლა.

პროექტის მეოთხე თავი ეძღვნება აკადემიური თვითმმართველობის საკითხს. აღნიშნულია, რომ უნივერსიტეტის თვითმმართველობის ძირითადი ორგანოა ფაკულტეტის (ან დეპარტამენტის) პროფესორთა საერთო კრება. მასში მონაწილეობენ სტუდენტთა წარმომადგენლებიც.

თვითმმართველობის განსახორციელებლად ფაკულტეტი ქმნის დარგობრივ კომიტეტებს დაახლოებით სამი კაცის შემადგენლობით. მაგალითად, კურიკულუმის კომიტეტი, დოქტორანტურის კომიტეტი და ა.შ.

დეპარტამენტს, კათედრას (ან შესაბამის ერთეულს) ჰყავს თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევენ ან ნიშნავენ გარკვეული ვადით (მაგ. 3 წლით). თავმჯდომარე არის თავისებური მეკავშირე პროფესურასა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შორის.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უმაღლესი ხელმძღვანელი არის პრეზიდენტი ან რექტორი. კონცეფციის პროექტში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამდენი წლით და როგორ ირჩევენ (ან ნიშნავენ) უნივერსიტეტის ხელმძღვანელს, არადა ეს ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი როდია.

პროექტის მიხედვით, უნივერსიტეტის იერარქიაში მნიშვნელოვანი რგოლია რწმუ¬ნებულთა (ან მრჩეველთა, ანდა სამეთვალყურეო) საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია უნივერსიტეტის გარეთ მყოფი ადამიანებით. ისმება კითხვა: რატომ მხოლოდ გარეთ მყოფთ? გარეშე მეთვალყურე უნივერსიტეტის შიგნით მიმდინარე პროცესების არსში ყოველთვის როდი გაერკვევა. ვფიქრობთ, აღნიშნულ საბჭოში უნივერსიტეტის დამსახურებული, ტენურირებული პროფესორებიც უნდა შედიოდნენ.

პროექტის მეხუთე თავში ლაპარაკია ტენუარის, როგორც აკადემიური თავისუფ¬ლების, მიუკერძოებლობის და ხარისხის დამცავი მექანიზმის შესახებ. აღნიშნულია, რომ ტენურირებული პროფესორის ერთ–ერთი ფუნდამენტური უფლებაა 5 წელიწადში ერთხელ, ერთი ან ნახევარი წლით, აიღოს ე.წ. სამეცნიერო–შემოქმედებითი შვებულება ხელფასის სრული ან ნაწილობრივი შენარჩუნებით. აქ ბუნებრივად იბადება ორი კითხვა: 1) მაშინ როდესაც პროექტში ამდენ აკადემიურ თავისუფლებაზეა ლაპარაკი, ხელფასის ნაწილობრივი შენარჩუნებით რატომ ვუზღუდავთ პროფესორს შემოქმედებითი მუშაობისათვის არჩევანის გაკეთების თავისუფლებას? 2) თუკი სამეცნიერო–შემოქმედებითი მუშაობა ტენურირებულ პროფესორს სჭირდება, ეს მით უფრო აუცი¬ლებელია ტენუარის გზაზე მყოფი პროფესორისათვის. ვფიქრობთ, ასეთი უფლება უნდა მიეცეს ორივე სტა¬ტუსის მქონე პროფესორს სრული ხელფასის შენარჩუნებით.

შემდეგი თავი ეძღვნება ახალ სისტემაზე გადასვლის სტრატეგიას, რომელშიც კარგად ჩანს საკითხისადმი მიდგომის დემოკრატიულობა და ჰუმანურობა. კერძოდ, აღნიშნულია, რომ ტენუარის სისტემაზე გადასვლის აუცილებელი პირობაა გადასვლა მოხდეს უმტკივნეულოდ. რეფორმა მიზნად ისახავს არა არსებული კადრების გაცხრილვას, არამედ მათ დასტაბილურებას, მათ შორის საუკეთესოების დაწინაურებას და წარმატებული კადრების გარედან მოზიდვას.

ამ თავშიც ლაპარაკია ტენუარის სტატუსის მისანიჭებელი კანდიდატების გამოვლენის პროცედურაზე. აღნიშნულია, რომ შესაბამისი მაღალი ხარისხის კანდიდატების არარსებობის გამო, გამორიცხული უნდა იყოს კანდიდატის ხარისხზე მოთხოვნის დადაბლება. თუკი ტენურირებულ პოზიციაზე კანდიდატი არ მოიძებნა, უმჯობესია არც ერთი კანდიდატი არ აირჩეს და პროცესი შემდეგ განახლდეს.

აქვე ლაპარაკია უნივერსიტეტში კადრების პასიურ და აგრესიულ რეკრუტმენტზე, რაც გულისხმობს კადრების არჩევას კონკურსის წესით და მათ გარედან მოზიდვას მათი მაქსიმალური დაინტერესების გზით. აგრეთვე, საჭიროდაა მიჩნეული ყველაზე წარმატებული უნივერსიტეტების გამოვლენა მათთვის შესაბამისი რანგის მისანიჭებლად, რაც მათი სტიმულირების თავისებურ გზადაა აღიარებული.

პროექტის მეშვიდე და მერვე თავებში განხილულია საუნივერსიტეტო და არასაუნივერსიტეტო მეცნიერების პრობლემები. ვინაიდან ეს შედარებით სპეციფიკური საკითხია, მასზე აქ არ შევაჩერებთ ყურადღებას. მის განსჯა–განხილვას ცალკე წერილი შეიძლება მიეძღვნას.

რეფორმის კონცეფციის პროექტის დასკვნითი ნაწილი ეძღვნება დაფინანსების საკითხებს. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წყაროებად დასახელებულია პირდაპირი დაფინასება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, გრანტული დაფინანსება, კერძო დონორები, სტუდენტური გადასახადები.

პროექტში განმარტებულია, რომ გადამწყვეტია საბიუჯეტო დაფინანსება, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში 3%–ს უნდა შეადგენდეს. ეს თითქოს დიდი ტვირთია, მაგრამ ყველაზე მომგებიანი ინვესტიციაა, რომელიც ქვეყანას ხვალ ასმაგი სიკეთით დაუბრუნდება.

გრანტული დაფინანსება ორმაგ ფუნქციას ასრულებს: ხელს უწყობს მეცნიერულ კვლევას და უდიდესი სტიმულია უნივერსიტეტის დონისა და პრესტიჟის ამაღლებისათვის, წამყვანი მკვლევარების მოზიდვისათვის, რომელიც, თავის მხრივ, უნივერსიტეტში გრანტული გადასახადების მოზიდვის წყაროდ იქცევა.

უნივერსიტეტის დაფინანსების მნიშვნელოვანი კომპონენტია კერძო დონორები, სახელობითი შემოწირულობები, როდესაც მსხვილი დონორის სახელი ერქმევა ლაბორატორიას, კვლევით ცენტრს, სტუდენტურ სტიპენდიას და ა.შ.

მცირე მასშტაბის შემოწირულობის დაფასებისათვის შეიძლება შემოღებული იქნას ე.წ. ოქროს დაფების სისტემა, როდესაც დონორის სახელები ოქროსფერ ფირფიტაზე იქნება ამოტვიფრული და თვალსაჩინო ადგილას მოთავსებული.

დაფინანსების ერთ–ერთი წყაროა სტუდენტური გადასახადები. მაგრამ კონცეფ¬ციის პროექტი განმარტავს, რომ ოჯახის მატერიალურმა მდგომარეობამ არანაირად არ უნდა შეუშალოს ხელი სტუდენტს სწავლის შესაძლებლობაში. სახელმწიფო უნივერსიტეტმა საკუთრ თავზე უნდა აიღოს ასეთი სტუდენტების დაფინანსება და წარჩინებული სტუდენტების სტიპენდიებით უზრუნველყოფა.

რა თქმა უნდა, ყველაზე კარგი იქნებოდა, რომ სტუდენტი საერთოდ არ იხდიდეს გადასახადს. მაგრამ ვინაიდან ეს შეუძლებელი ჩანს (ამ ეტაპზე მაინც), სასურველია სტუდენტური გადასახადები ოჯახებისათვის ადვილად მისაწვდომ, გონივრულ დო¬ნემდე მაინც შემცირდეს.

ასეთია, მოკლედ, უმაღლესი განათლების რეფორმის კონცეფციის პროექტის ძირითადი შინაარსი და ის ზოგიერთი შენიშვნა თუ მოსაზრება, რომელიც გაგვიჩნდა შესაბამის საკითხებთან დაკავშირებით.

ნოდარ ბარამიძე,
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბათუმის შოთა რუსთაველისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტების ერთობლივი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

2012-2013 სასწავლო წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებს განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რასაც საფუძვლად დაედო სსიპ ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა“ და სსიპ ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს“ შორის 2011 წლის 29 სექტემბერს „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ერთობლივად განხორციელების შესახებ“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება. პროგრამა მიზნად ისახავს განათლების სფეროს მომავალი ლიდერების მომზადებას, რომლებიც თავიანთ წვლილს შეიტანენ განათლების მართვის სფეროში და შეეძლებათ განათლების სისტემის მართვა და რეფორმებით გათვალისწინებული ცვლილებების გატარება.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა პირველად შემუშავდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს განათლების მართვის პროექტის ფარგლებში, რომელიც 2009-2012 წლებში ხორციელდებოდა საქარ¬თველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსა და კალიფორნიის ლოს–ანჟელესის უნივერსიტეტთან ერთად. სწორედ USAID-ის პროექტის ფარგლებში 2009 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა. პირველ ეტაპზე ისუ-ში პროგრამას ერთობლივად ახორციელებდნენ ადგილობრივი და კალიფორნიის ლოს–ანჟელესის უნივერსიტეტის პროფესორები. 2010 წლის 9-21 ივლისს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და კალიფორნიის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის (USAID) თანამშრომლობით განათლების მართვის პროექტის (USAID) ფარგლებში პროგრამაში ისუ-დან ჩართული პერსონალი და რამდენიმე მაგისტრანტი სამუშაო ვიზიტით (American Education Administration Training and Practices Study Tour) გაემგზავრა კალიფორნიის ლოს-ანჟე¬ლესის უნივერსიტეტში. სასწავლო ტურის მიზანი იყო გამოცდილების გაზიარება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა-ორგანიზების შესახებ კონსულტაციების მიღება. პროექტის მენეჯერის ქალბატონ ნინო ჩუბინიძის ინიციატივით გადაწყდა პროექტის განხორციელებაში რეგიონალური უნივერსიტეტების ჩართვა და ილიას უნივერსიტეტში ამოქმედებული პროგრამის ერთობლივად განხორციელება. სასწავლო ტურში მონაწილეობის მისაღებად შერჩეულ იქნა ორი რეგიონალური უნივერსიტეტი - ბათუმისა და ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტები, რომლის ფარგლებშიც აღნიშნულ ვიზიტში მივიღე მონაწილეობა, როგორც ბსუ-ს წარმომადგენელმა. ვიზიტის წინამოსამზადებელ პერიოდში, 2010 წლის ივნისში პროგრამის მონაწილე მხარეების ჩართულობით გაიმართა ონლაინ კონფერენცია. მოგვიანებით კი ჩვენმა უნივერსიტეტმა უმასპინძლა კალიფორნიის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტიდან სამუშაო ვიზიტით ჩამოსულ პროფესორებს.

ამის შემდეგ დავიწყეთ აქტიური თანამშრომლობა ისუ-ში მოქმედ განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან. ჩვენი უნივერსიტეტის ხელშეწყობით 2 წლის განმავლობაში ილიას უნივერსიტეტში ვესწრებოდით ლექციებს, ვხვდებოდით პროგრამაში ჩართულ პროფესორებს, ვესწრებოდით კალისფორნიიდან ჩამოსული პროფესორების მიერ ჩატარებულ მასტერ-კალსებსა და კონსულტაციებს, გვქონდა აქტიური ელექტრონული კომუნიკაცია და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ვამზადებდით ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამას ბსუ-ში განსახორციელებლად.

2011 წლის ივლისში განათლების მართვის პროექტის, ილიასა და კალიფორნიის უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად რსუ–ს რექტორმა და განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა განახორციელეს სამომავლოდ პროგრამაში დასასაქმებელი აკადემიური პერსონალის შიდა საუნივერსიტეტო შერჩევა. გასაუბრება გაიარა 15 კონკურსანტმა, რომელთაგან შეირჩა 7 კანდიდატი. შერჩევის შემდეგ ილიასა და ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტების მიერ ჩამოყალიბდა ერთობლივი საზაფხულო სკოლის კონცეფცია და ამის შესაბამისად საჯაროდ ელექტონული ვებგვერდის მეშვეობით გამოცხადდა განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხუ¬ლო სკოლა. სკოლაში რეგისტრაცია გაიარა 115 მონაწილემ, სადაც ირიცხებოდნენ სკო¬ლების დირექტორები და მოადგილეები, საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებ¬ლის ადმინისტრაცია, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამშრომლები. 2011 წლის 29 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით რსუ მასპინძლობდა ბათუმის შოთა რუსთაველისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტებისა და USAID-ის ერთობლივ ,,განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზაფხულოს სკოლას". ზაფხულის სკოლის საორგანიზაციო კომიტეტში შედიოდა აჭარის განათლების, სპორტისა და კულტურის მინისტრი, ორივე უნივერსტეტის რექტორი და განათლების მარ¬თვის პროექტის წარმომადგენელი. საზაფხულო სკოლის განხორციელებაში მონაწილეობის მისაღებად ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია კალიფორნიის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის განათლებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სკოლის პროფესორი, განათლების მართვისა და სასწავ¬ლო პროცესის მართვის ექსპერტი და თანაინსტრუქტორი ბარბარა ნაითი, რომელმაც წაიყვანა ,,სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების“ კურსი. განათლების ადმინისტრირების ბათუმის საზახულო სკოლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი, გარდა წარმოდგენილი პროექტის პოპულარიზაციისა და დამსაქმებელთა დაინტერესებისა, იყო ილიასა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტების პროფესორების ერთობლივი მუშაობა, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კურსების შინაარსისა და სასწავლო მეთოდოლოგიის შესახებ აზრთა გაცვლა და კოლეგების გადამზადება. ასევე, შემუშავდა შერჩეული პროფესურის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში რეგულარული ვიზიტების განრიგი, ილიას უნივერსიტეტში მათი რეგულარული მივლინება მეცადინეობებზე დასწრების მიზნით და მონა¬წი¬ლეობა პრაქტიკული კვლევის განმახორციელებელი სკოლების კვლევის საბჭოებში. საზაფხულო სკოლის საზეიმო გახსნის დროს, 29 აგვისტოს, საჯაროდ გაფორმდა ილიასა და შოთა რუსთაველის უნივერსიტეტებს შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც დღეისათვის ბსუ-ში ერთობლივად ხორციელდება წარმოდგენილი პროგრამა, რომელსაც ილიას უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორ სიმონ ჯანაშიასთან ერთობლივად ვხელმძღვანელობ.

პროგრამამ 2012 წლის თებერვალ-მარტში გაიარა აკრედიტაცია და 2012-2013 წლისთვის გამოცხადდა პირველი ნაკადის მიღება 10 ადგილზე. თუმცა კონკურსის წესით, ნაცვლად 10 მაგისტრანტისა, პროგრამაზე უნივერსიტეტის კეთილი ნებით ჩაირიცხა 14 მაგისტრანტი, მათ შორის 2 - უცხო ქვეყნის მოქალაქე. კონტიგენტი შერეული საბაკალავრო განათლებითაა: არიან ისტორიის, განათლების, სამართლის, საზოგადოებათმცოდნეობის, ქართული, ინგლისური და თურქული ფილოლოგიის, მათემატიკისა და ა. შ. ბაკალავრები. მაგისტრანტთა ძირითადი ნაწილი დასაქმებულია. სწორედ ამიტომ ადგილობრივი პროფესორების ლექციები ტარდება 6 საათის შემდეგ, მოწვეული პროფესორები კი ლექციებს შაბათ-კვირაობით ატარებენ. პროგრამის ფარგლებში ტარდება აგრეთვე ონლაინ ლექციებიც, კერძოდ მიმდინარე სემესტრში პროგრამის ერთ-ერთი თანახელმძღვანელი ბატონი სიმონ ჯანაშია ნიუ-იორკიდან, კოლუმბიის უნივერსიტეტიდან უძღვება სასწავ-

ლო კურსს ,განათლების სოციალური საფუძვლები“. ჩვენი უნივერსიტეტიდან პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ჩართულები არიან რექტორი, ალიოშა ბაკურიძე (სასწავლო კურსი - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა), ლელა თავდგირიძე, გიორგი მასალკინი, ნანი მამულაძე, მადონა მიქელაძე, ნატო შეროზია, ვლადიმერ ღლონტი, რამინ ცინარიძე, მე ა. შ. სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებს, პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსებიდან გამომდინარე, ექნებათ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადმინისტრირებისა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის საჭირო ცოდნა და მენეჯერული უნარები. მით უმეტეს, რომ განათლების სფეროში მმართველ პოზიციებზე კადრების მოთხოვნა მაღა¬ლია ნაციონალურ და ინსტიტუ¬ციონალურ დონეებზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში არსებული სტატისტიკა აჩვენებს, რომ დირექტორების საკმაოდ დიდი რაოდენობა ახლა მხოლოდ

მოვალეობის შემსრულებელია. განათლების ადმინისტრირების პროგრამის კურსდამთავრებულებს საკმაოდ დიდი შანსი ეძლევათ, განათლების ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხის მოპოვების შემდეგ მონაწილეობა მიიღონ სკოლის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში და დასაქმდნენ მათი კვალიფიკაციის შესაბამისად. მითუმეტეს, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას სკოლის დირექტორის სტანდარტის შესაბამისად, რაც გაზრდის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

საინტერესო და არასტანდარტულია სტუდენტების მუშაობის ფორმატი. სასწავლო კურსების ფარგლებში მათ საშუალება ეძლევათ უმასპინძლონ სხვადასხვა ორგანიზაციიდან მათ მიერ შერჩეულ და მოწვეულ სხვადასხვა კატეგორიის სტუმრებს, შეაღონ სხვადასხვა სკოლის კარები, მათთვის საინტერესო საკითხებზე აიღონ ინტერვიუები სკოლის დირექტორების, მათი მოადგილეების და ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებისაგან, დაესწრონ სკოლაში მიმდინარე სასწავლო-აღზრდელობით პროცესს, პედაგოგიური საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, კათედრის სხდომებს, სადამრიგებლო საათს, დააკვირდნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის პროცესს და ა. შ. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ყოველივე აღნიშნულის შესახებ გააკეთონ რეფლექსია, განიხილონ საკუთარი და ერთმანეთის მოსაზრებები, იმსჯელონ, გამოავლინონ მათი თალით დანახული სუსტი მხარეები და იფიქრონ მათი გამოწორების გზებზე.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია საინტერესო სასწავლო კურსები და აქტივობები, განსაკუთრებით აქტულური კვლევითი პროექტები, რომელთა დაგეგმვა-განხორციელებაში ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებთან ერთად კიდევ უფრო აქტიურად იქნებიან ჩართულები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ,,შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ერთობლივად განხორციელების შესახებ“ გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების თანახმად, ვინაიდან განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივ პროგრამას, მისი ,,დასრულებისას „რსუ“-ს მიერ გაიცემა დიპლომი, რომელშიც მიეთითება პროგრამის განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სახელწოდებები, მინიჭებულ კვალიფიკაციაზე ორივე უნივერსიტეტის დასტურით“ (მუხლი 4, პუნქტი 4.8). აღნიშნული ფაქტი პირველი პრეცენდენტია ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების ისტორიაში და ამ შანსს გამოყენება უნდა.

მინდა წარმატებები ვუსურვო პროგრამის ყველა მაგისტრანტს, აბიტურიენტებს, რომლებიც ამ პროგრამაზე აპირებენ არჩევანის გაკეთებას. აქვე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო პროგრამაში როგორც ბსუ-დან, ასევე ისუ-დან ჩართულ აკადემიურ პერსონალს, ჩვენს პარტნიორ საჯარო და კერძო სკოლებს, რომლებიც ყოველნაირად გვიწყობენ ხელს პროგრამის განხორციელებაში და უსასყიდლოდ, მაგრამ წარბშეუხრელად ემსახურებიან ჩვენს მაგისტრანტებს. ასევე სასტუმროს ,,აისი“ ისუ-დან მოწვეული პერსონალის მასპინძლობისათვის, განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანატსა და პედაგოგიურ მეცნიერებათა დეპარტამენტს, ჩვენი უნივერსიტეტის რექტორატსა და ადმინისტრაციას, რომლებიც ყველა პირობას უქმნიან პროგრამას წარმატებული ფუნქციონირებისათვის.

საგამომცემლო პროცესი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში

ქართული მწიგნობრობის, წიგნისა და სტამბის განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორია ქართველი ხალხის შემოქმედებითი შრომით აღსავსე ცხოვრებისა და სულიერ-ინტელექტუალური კულტურის აღორძინების ფენომენალური მოვლენაა.

საუნივერსიტეტო გამომცემლობებს საქართველოში საკმაოდ შორეული ისტორია აქვს. კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრებთან იქმნებოდა მწიგნობართა, წიგნის გადამწერთა და კალიგრაფისტთა სკოლები. სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი წიგნის შექმნის სასარგებლო ტრადიციებს. ოშკის, ხანძთის, გარეჯის უდაბნოს, მცხეთის, გელათის, იყალთოს, ალავერდის, ვარძიისა და ბევრი სხვა სამონასტრო და სამწერლობო კერა ქართული მწიგნობრობის მკვიდრ უძველეს კერებად წარმოგვიდგებიან. ამ სამწერლობო ცენტრებისა და კერების მნიშვნელობა ქართული მწიგნობრული კულტურის აღორძინება-განვითარებაში იმდენად დიდია, რომ ძნელია სრულად მათი შეფასება. მწიგნობრულ და მთარგმნელობით მოღვაწეობასთან ერთად, აქ საქმიანობდნენ კალიგრაფისტთა და წიგნის გადამწერთა სკოლებიც. მათი ძირითადი (თუმცა არა ერთადერთი) ფუნქცია იყო წიგნის ფორმა მიეცათ იმ თხზულება-ნაწარმოებებისათვის, რომლებიც საგანმანათლებლო პროცესში გამოიყენებოდა. ფაქტობრივად, ისინი უძველეს გამომცემლებად გვევლინებიან — ახდენდნენ როგორც ქართული ორიგინალური, ისე თარგმნილი ნაწარმოებების ერთგვარ ტირაჟირებას. აქვე ზრუნავდნენ წიგნისა და მისი გარეკანის შემკულობა-მოხატულობაზეც, იქნებოდა ეს ჭედური ხელოვნება, მინიატურები თუ სხვა სახის ხელოვნება. არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ჰქონდა მძლავრი საგანმანათლებლო მწიგნობრული კერები არა მხოლოდ ქვეყნის ფარგლებში, არამედ უცხოეთშიც.

გუტენბერგის გამოგონებამ, წიგნის სტამბურად ბეჭდვამ ზღვარდაუდებელი გავლენა მოახდინა მწიგნობრობისა და წიგნის დემოკრატიზაციაზე. წიგნს ფართოდ გაეხსნა გზა მკითხველისაკენ — მისი შეძენა ბევრად უფრო იოლი გახდა.

დღეს საგამომცემლო პროცესი საუნივერსიტეტო ცხოვრების ორგანული ნაწილია. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს წამყვანი უნივერსიტეტების მაგალითზე, რომლებიც ყოველთვის იყვნენ დაინტერესებული წიგნის გამოცემისთვის საჭირო საკუთარი ბაზის შექმნით.

ბათუმის უნივერსიტეტში საგამომცემლო საქმეს საფუძველი ჩაეყარა 1997 წელს, როცა ჩამოყალიბდა საუნივერსიტეტო სტამბა – მცირე მასშტაბის პოლიგრაფიული საწარმო, რომელიც მომსახურებას უწევდა ძირითადად უნივერსიტეტის ლექტორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს. 1999 ნელს შეიქმნა უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომელსაც სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ ჯ. კარალიძე და თ. ფუტკარაძე.

2007 წლიდან გამომცემლობას სტრუქტურულად დაუქვემდებარა სტამბა, რამაც შესაძლებელი გახადა უნივერსიტეტში განხორციელებული-ყო წიგნის მომზადების სრული პროცესი. ამის შედეგად – გაიზარდა შეკვეთების რაოდენობა და გაუმჯობესდა ნაბეჭდი პროდუქციის ხარისხი. დღეს უნივერსიტეტის გამომცემლობას ხელმძღვანელობს ასოც. პროფესორი ნანა ხახუტაიშვილი, სასტამბო პროცესს კი წარმართავს ბეჭდვითი საქმის გამოცდილი სპეციალისტი – ბადრი წულაძე.

გამომცემლობა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით, რომელთა შერჩევა მოხდა კონკურსის წესით. წიგნის საგამომცემლო მხარეზე (რედაქტირება, კორექტირება, ტექნიკური და მხატვრული რედაქცია, დაკაბადონება) მუშაობენ ლალი კონცელიძე (გამომცემლობის რედაქტორი) და ედუარდ ანანიძე (გამომცემლობის ტექნიკური რედაქტორი), ხოლო სასტამბო საქმეს ემსახურებიან სტამბის გამოცდილი სპეციალისტები: ცირა (ცაცა) გოლიაძე, ნუნუ გოგიტიძე, ავთანდილ დუნდუა, მერი თურმანიძე, ლილი კიკაბიძე, მაია ჟღენტი.

გამომცემლობის პრიორიტეტი – საუნივერსიტეტო გამოცემებია, შესაბამისად, შემკვეთები ძირითადად უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები არიან. იბეჭდება ფაკულტეტების, დეპარტამენტების შრომები, კრებულები, აგრეთვე, ცალკეულ ავტორთა (ან ავტორთა ჯგუფის) მონოგრაფიები, ნაშრომები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და ა. შ.

დღეს გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულია, რომელიც, უნივერსიტეტის მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სასწავლო-სამეცნიერო, მეთოდური, საცნობარო და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემას.

...უნივერსიტეტის მეორე კორპუსის 213-ე ოთახში, სადაც გამომცემლობაა განთავსებული, უპირველესად, საქმიანი განწყობა და სასიამოვნო გარემო იქცევს ყურადღებას. „საგამომცემლო პროცესი მოითხოვს სიჩუმეს“, იუწყება წარწერა კედელზე, რაც უფრო თხოვნას ჰგავს, ვიდრე პირობას... გამომცემლობაში მუდმივი „სტუმრიანობა“ არ უკვირთ: ზოგს წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული საკითხები აინტერესებს, ზოგი რედაქტორებთან ერთადაა ჩართული წიგნის მომზადების პროცესში, ბევრი, უბრალოდ, უნივერსიტეტის ახალი გამოცემებით ინტერესდება...

წლის განმავლობაში განხორციელებულ გამოცემათა რაოდენობა ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ იმედის თვალით შევხედოთ ბათუმის უნივერსიტეტში მიმდინარე საგამომცემლო საქმიანობის მომავალს, რომელიც მუდმივ განახლებას მოითხოვს. მომავლის გეგმებშია სტამბის ტექნიკური აღჭურვილობის გადახალისება, რაც შესაძლებელს გახდის წიგნის გამოცემის ხარისხის გაუმჯობესებას. ფერადი ბეჭდვა და წიგნის დიზაინთან დაკავშირებული საინტერესო იდეებისა თუ პროექტების ხორცშესხმა მეტ ავტორსა და მკითხველს შესძენს უნივერსიტეტის გამომცემლობას.

ნანა ხახუტაიშვილი,
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის დირექტორი

ის დააკლდა უნივერსიტეტს... ბათუმს...,



დღეს, 21–ე საუკუნეში ხშირად გაიგონებთ, რომ მორალური ღირებულებები გადაფასდა...რომ, ადამიანი დღეს უფრო პრაგმატული, მერკანტილური, ნაკლებად მგრძნობიარე გახდა....რომ შეიცვალა ხალხი და მათი ურთიერთობები, სიყვარული, პატივისცემა და მეგობრობა რთული საპოვნელი და შესანარჩუნებელი გახდა... რაღაცა გაცივდა, რაღაცა მოკვდა...

მიუხდავად ამისა, მადლობა უფალს, ჩვენს ირგვლივ მრავლადაა სულით მდიდარი, უანგარო, მოყვარული და კეთილი ადამიანი. მეც ერთ–ერთი ასეთი ადამიანის – პავლე დავიდიანის შესახებ მინდა გიამბოთ, ადამიანის, ვისაც სულ რამდენიმე დღის წინ, გულწრფელი სინანულითა და ცრემლით გამოემშვიდობა ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა თაობის ადამიანი.

მე–20 საუკუნის დასაწყისში თურქეთში მომხდარი სომხების გენოციდის გამო, პავლე დავიდიანის წინაპრები თურქეთიდან ბათუმში გადმოსახლებულან. სწორედ აქ დაიბადა ის 1938 წელს. 1964 წელს აქვე შექმნა ოჯახი სედა არუთინინანთან და სამი შვილი შეეძინათ. მათი ოჯახური ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. 15 წლის ერთად ყოფნის შემდეგ მეუღლე გარდაეცვალა. მას შემდეგ უკვე 35 წელი გავიდა...ბატონ პავლეს ოჯახის ხელახლა შექმნაზე აღარ უფიქრია. მან მთელი თავისი მომავალი ცხოვრება, ძალა და ენერგია, შვილების აღზრდასა და განათლებას, მათ ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბებას მიუძღვნა. პავლე ოთხი შვილიშვილისა და ერთი შვილთაშვილის ბაბუა იყო.

ბატონი პავლეს ქალიშვილის – ჟანას თქმით, ოჯახში ის იყო უპრეტენზიო, მშვიდი, მორიდებული, თავმდაბალი, განწონასწორებული, ძალიან კეთილი და ყურადღებიანი, არასოდეს აწუხებდა გარშემომყოფთ თავისი პრობლემებით.

თავისი ცხოვრების ადრეულ ეტაპზე ბატონი პავლე სხვადასხვა სპეციალობით მუშაობდა. კერძოდ, სამხედრო ვალდებულების მოხდისას ის ფერშალი იყო, იქედან დაბრუნების შემდეგ კი – სამი წელი ბათუმის ქიმიურ ქარხანაში ტექნოლოგად იმუშავა. ბოლოს კი ინსტიტუტის (შემდგომ უნივერსიტეტის) მიდამოში ჯიხური დაიქირავა და 42 წლის განმავლობაში მუშაობდა ფეხსაცმლის შემკეთებელ ხელოსნად. სწორედ ამ წლების განმავლობაში პავლე დავიდიანმა მოიპოვა უნივერსიტეტის სტუდენტების, ტექნიკური პერსონალისა თუ პროფესორ–მასწავლებლების უდიდესი სითბო და სიყვარული. ის, შეაკეთებდა რა ფეხსაცმელს და საფასურს შეეკითხებოდი, ყოველთვის მორიდებით იტყოდა: „სტუდენტური ფასი ბაბუ, სხვაგან ეს საქმე 5 ლარია, თქვენთვის კი 2–3 ლარი საკმარისია“ ანდა „ხურდა დატოვე და საკმარისია“, თანაც თავის ჯიხურში ყოველთვის მზად ჰქონდა ტკბილეული და სიამოვნებით გიმასპინძლდებოდა. მას სიკეთის კეთება და უანგარობა შესისხლხორცებული ჰქონდა, მეგობრობის ფასიც იცოდა და თანადგომაც...

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ლელა თავდგირიძე, პავლე დავიდიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას, ლამაზად განვლილ ცხოვრებას უწოდებს და ამბობს:

,,ადამიანზე გულთბილი სიტყვის თქმის სურვილი უცებ არ ჩნდება. ამას წინ უძღვის მრავანლიანი ურთიერთობა. ჩემთვის და ჩემი კოლეგებისათვის ბოლო რამდენიმე ათეული წელი საუნივერსიტეტო დღე პავლიკასთან (ასე მივმართავდით მას) შეხვედრით იწყებოდა. ყოველ დილით უნივერსიტეტის ეზოში შემოსულებს გვხვდებოდა პატარა ტანის, გამხდარი ადამიანი, მომღიმარი და სიკეთით გასხივოსნებული თვალებით, სიყვარულით სავსე დიდი გულით. პავლიკა თითოეული ჩვენთაგანის გულითადი მასპინძელი იყო. ჩუმად, მშვიდად, უხმაუროდ აკეთებდა თავის საქმეს. ყოველთვის თან ჰქონდა ტკბილეული და დილით მისალმების შემდეგ გაგიმასპინძლდებოდა...”

ლამაზი მოგონებები და, ამასთან, დიდი ტკივილი დაგვიტოვა ბატონი პავლეს გარდაცვალებამ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ბატონი პავლე დააკლდა არა მარტო უნივერსიტეტს, მის მეგობრებს, არამედ მთელ ბათუმს.... ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

„აქაც კარგი კაცი იყო.... იქ, ნათელი დადგესა“!

უნივერსიტეტის თანამშრომლების სახელით,
ბიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი
გუგული დუმბაძე

2012 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული სამეცნიერო პროექტები

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და მკვლევრები აქტიურად არიან ჩართული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში. 2012 წლის კონკურსში გრანტი მოიპოვა შემდეგმა სამეცნიერო პროექტებმა:

ფუნდამენტური კვლევების მიმართულებით კონკურსში გამარჯვებულია შემდეგი პროექტები:

FR/558/1-10/12 კლარჯეთი, სამეცნიერო ხელმძღვანელი მამია ფაღავა;

FR/329/10-101/12 მცენარეთა პათოგენური მიკროორგანიზმების კულტურათა ეროვნული კოლექციის შექმნა, სამეცნიერო ხელმძღვანელი ზოია სიხარულიძე;

FR/640/6-110/12 გარემოს რადიო სპექტრალური დიაგნოსტიკა სიგნალისა და გარემოს დისპერსიულ მახასიათებლებს შორის კორელაციური ურთიერთკავშირის საფუძველზე- იზოლდა ჯაბნიძე.

ახალგაზრდა მეცნიერებისთვის გამოცხადებულ კონკურსში პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი მოიპოვა შემდეგმა პროექტებმა:

PG/27/2-230/12 რეზუს სისტემის ანტიგენების — ?, c, D, E, e გავრცელების თავისებურებანი და მათი სკრინინგის აუცილებლობა დონორთა სისხლში და ანტი- D ანტისხეულით გამოწვეული ალოიმუნიზაცია ორსულებში, სამეცნიერო ხელმძრვანელი მარინა ნაგერვაძე;

PG/47/2-153/12 საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და მუსლიმური თემი საქართველოში, სამეცნიერო ხელმძღვანელი რუსლან ბარამიძე;

PG/27/2-230/12 კავკასიის რეგიონის ეკონომიკის პრიორიტეტები და ტენდენციები გლობალიზაციის ხანაში (კონკურენტუნარიანობა, პრობლემები, გამოწვევები, პერსპექტივები), სამეცნიერო ხელმძღვანელი ბადრი გეჩბაია.

სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებულია შემდეგი პროექტები:

SC/11/7-160/12 აქტინიდიის (Actinidiia Delicioza) მიკროგამრავლების შესწავლა ინ ვიტრო კულტურაში, სამეცნიერო ხელმძღვანელი ნანა ზარნაძე;

SC/8/7-140/12 დალტონიზმის მემკვიდრეობის რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლების განსაზღვრა აჭარის რეგიონის მაგალითზე, სამეცნიერო ხელმძღვანელი მარინა ნაგერვაძე;

SC/22/6-110/12 ელექტრომაგნიტური ტალღების მონიტორინგი და შეფასება, სამეცნიერო ხელმძღვანელი ნუგზარ ღომიძე.

2013 წლის მაისი-ივნისის თვეებში დაგეგმილი ღონისძიებისათვის მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტის მფლობელი გახდა:

ვლადიმერ ღლონტი, 2013_tr_065 მე-10 საერთაშორისო კონფერენცია ეკონომიკური თეორიისა და პოლიტიკის განვითარება (ესპანეთი; ბილბაო);

ლელა თავდგირიძე, 2013_tr_077 მესამე საერთაშორო კონგრესი ბულგარისტიკაში (ბულგარეთი; სოფია);

გული შერვაშიძე, 2013_tr_076 მესამე საერთაშორისო კონგრესი ბულგარისტიკაში (ბულგარეთი);

თამაზ ფუტკარაძე, 2013_tr_056 ბულგარისტიკის მესამე საერთაშორისო კონგრესი. საქართველო–ბულგარეთის ისტორიული და სამეცნიერო–კულტურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი (ბულგარეთი; სოფია);

ფუნდამენტურ და გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2012 წლის კონკურსში 94 და მეტი ქულა მიიღო, მაგრამ არ დაფინანსდა შემდეგი პროექტები:

FR/682/7-120/12 აჭარის დენდროფლორის საველე ცნობარი, სამეცნიერო ხელმძღვანელი ინგა დიასამიძე;

AR/254/10-140/12 მცირე მექანიზაციის ტრანსფორმირებადი (გარდამსახველი) აგრეგატის დამუშავება სხვადასხვა სახის სამუშაო ორგანოებისათვის, სამეცნიერო ხელმძღვანელი მერაბ მამულაძე;

FR/501/2-153/12 მურღულის ხეობა, სამეცნიერო ხელმძღვანელი ნ. კახიძე

პროექტების ავტორებს გულწრფელად ვულოცავთ გამარჯვებას, ხოლო უნივერსიტეტის კოლექტივს ვუსურვებთ კიდევ უფრო აქტიურად ითამაშონ საერთაშორისო და ადგილობრივ ფონდებთან.

ბიოლოგიის დეპარტამეტის ხელმძღვანელი
სრული პროფესორი
დავით ბარათაშვილი
ასისტ. პროფესორი
ინგა დიასამიძე

უნივერსიტეტში მეგობრობის ენათა ცენტრი გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა შევქეთ ერჯან თუნჩიმ მეგობრობის ენათა ცენტრი გახსნეს. ცენტრის მიზანია სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს უფასოდ შეასწავლოს თურქული ენა. სასწავლო წლის ბოლოს წარჩინებული სტუდენტები თურქეთის 19 მაისის უნივერსიტეტის საზაფხულო სკოლაში თურქული ენის შემსწავლელ კურსებზე გაემზავრებიან. მსმენელებს შესაძლებლობა მიეცემათ წელიწადში ორჯერ იმოგზაურონ თურქეთის რესპუბლიკაში, გაეცნონ თურქეთის კულტურასა და ტრადიციას.

ჟურნალ „National Geographic"-ის პრეზენტაცია გაიმართა

შოთა რუსთაველის დარბაზში ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული გეოგრაფიული საზოგადოების (National Geographic Society) 125 წლის იუბილეს მიეძღვნა ჟურნალ „National Geographic"-ის პრეზენტაცია. ჟურნალის რედაქტორმა ლევან ბუთხუზამ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი სამეცნიერო და საგანმანათლებლო ორგანიზაციის ოფიციალური გამოცემა წარუდგინა. „National Geographic"-ი 1888 წელს დაარსდა, ხოლო ქართულენოვანი ჟურნალის პირველი ნომერი მკითხველმა 2012 წლის ოქტომბერში მიიღო. პერიოდული გამოცემა 37 ენაზე იბეჭდება, მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში ვრცელდება და 60 მილიონზე მეტი მკითხველი ჰყავს. 125 წლის განმავლობაში ამერიკული საზოგადოების დაფინანსებით არაერთი სამეცნიერო ექსპედიცია და პროექტი განხორციელდა. მის ინტერესებში შედის გეოგრაფიის, არქეოლოგიის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მსოფლიო კულტურისა და ისტორიის შესწავლა. National Geographic Society-ის გრანტით გახდა შესაძლებელი საქართველოში დმანისის სამარხების საფუძვლიანი კვლევა და პირველი ევროპელების — ზეზვასა და მზიას აღმოჩენა.

პრაქტიკული სახელმძღვანელოს „წარმატების გასაღები" წარდგინება

ნათია სირაბიძის საჯარო გამოსვლის პრაქტიკული სახელმძღვანელოს "წარმატების გასაღები" წარდგინება გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ავტორი საჯარო სიტყვის პრობლემებს იკვლევს თანამედროვეობასთან მიმართებაში. ნაშრომში მოცემულია ორატორული ხელოვნების ისტორია, ქართველ და უცხოელ ორატორთა გამოსვლების ნიმუშები. წიგნში თეორიულ მასალასთან ერთად წარმოდგენილია პრაქტიკული რეკომენდაციები. სახელმძღვანელოს წარდგინების შემდეგ ავტორმა სტუდენტებისათვის ღია ლექცია წაიკითხა დარწმუნების ტექნოლოგიებზე. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და წიგნის ავტორმა ახალგაზრდების შეკითხვებს უპასუხა.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემები"

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, არასამთავრობო ორგანიზაციების: „ტფილისის ჰამქარის", „ბათუმისა" და „ICOMOS"-ს ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია თემაზე: „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემები". ხელოვნებათმცოდნეებმა და არქიტექტორებმა კონფერენციაზე ქალაქების იდენტობის განმსაზღვრელ ფაქტორებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ფაქტორებზე, ურბანულ ცვლილებებზე, გამოწვევებსა და სახელმწიფო რეაბილიტაციის პროცესებზე იმსჯელეს. კონფერენციის ფარგლებში ასევე გაიმართა ფოტოხელოვან შოთა გუჯაბიძის ძველი ბათუმის ამსახველი ფოტოების გამოფენა.

სემინარი ფერმერული და კვების პროდუქტთა წარმოების სექტორის წარმომადგენლებისათვის

შოთა რუსთაველის დარბაზში პრაქტიკული სემინარი ჩატარდა თემაზე: „ფერმერული მეურნეობებისა და გადამამუშავებელი ორგანიზაციების არსებული მდგომარეობა, მათი რეაბილიტაციისა და განვითარების პერსპექტივები აჭარაში". ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებმა და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა ფერმერული და კვების პროდუქტთა წარმოების სექტორებში მომუშავეთ დარგის სიახლეები, სამომავლო გეგმები და პროექტები გააცნეს. მომხსენებლებმა ასევე ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: „სასათბურე ტექნოლოგიები, მასალები და მოწყობილობები", „მცირე სიმძლავრის გადამამუშავებელი ტექნოლოგიური ხაზები და ტექნოლოგიები" და „ფერმერული გაერთიანებების ჩამოყალიბების მიზანშეწონილობა". პრაქტიკული სემინარი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიმართა და მომავალშიც გაგრძელდება.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის მიწის პარლამენტის დელეგაციის ვიზიტი

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდენბურგის მიწის პარლამენტის მეცნიერების, კვლევისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე იენს ლიპსდორფი, ქალაქ კოტბუსის თავისუფალ დემოკრატთა პარტიის ფრაქციის თავმჯდომარე, განათლების, სკოლების, სპორტისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე სილკე ლუთერთი და თავისუფალ დემოკრატთა პარტიის წევრი მაიკე ჰოლთში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვივნენ. უნივერსიტეტის რექტორთან, პროფესორ ალიოშა ბაკურიძესთან, აჭარის უმაღლესი საბჭოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან გიორგი მასალკინთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან ედიშერ ჩავლეიშვილთან, ფაკულტეტების დეკანებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე დელეგაციის წევრებმა თანამშრომლობის მიმართულებებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელებაზე, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, გადამზადებასა და სტაჟირებაზე. იგეგმება რეგიონში ქართულ-გერმანული პროფესიული სასწავლებლის გახსნა და ენების ცენტრის დაფუძნება.

დასაქმების ფორუმი სტუდენტებისათვის

სასტუმრო „SHERATON BATUMI"-ში III-IV კურსის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულებისათვის „დასაქმების ფორუმი - 2013" გაიხსნა. სააგენტო HR-ის მიერ ორგანიზებულმა ფორუმმა ახალგაზრდებს 17 კომპანიის ვაკანსიები შესთავაზა. ქართულ ბაზარზე არსებულ კომპანიებში სამსახურის დაწყების შესაძლებლობა სამი რეგიონის - აჭარის, სამეგრელოსა და იმერეთის 4 სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მიეცათ. საქართველოში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიების წარმომადგენლები ღონისძიებაში მონაწილე აპლიკანტებს გაესაუბრნენ და დასაქმების პირობები გააცნეს.

ამერიკელმა პროფესორმა ჯეიმს თორსონმა დიპლექცია წაიკითხა თემაზე: „ლიტერატურის სწავლება"

ამერიკელმა პროფესორმა ჯეიმს თორსონმა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის ღია ლექცია წაიკითხა თემაზე: „ლიტერატურის სწავლება". ცნობილმა მეცნიერმა ამერიკული და ინგლისური ლიტერატურისადმი გაზრდილი ინტერესისა და იმ თანამედროვე ამერიკელი მწერლების შესახებ ისაუბრა, რომელთა შემოქმედებაც შეტანილია სასწავლო პროგრამებში. ხაზი გაუსვა ასევე ლესლი მარმონ სილკოს, კურტ ვონეგუტის, კარლ სენდბერგის, სტივენ კრეინისა და ამერიკელი ინდიელი მწერლების მნიშვნელობას. ლექციის დასასრულს, ნიუ მექსიკოს უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორმა სტუდენტების შეკითხვებს უპასუხა.

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ფეფხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე
უჩა აბრამიშვილი

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში"
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7